ვისია დავით გარეჯის ზექართული კომპლექსი?! ⑦

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვეჩი სიფცვაა, ფცუიოებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 21 მარტი. 2017 წ. №60 (8197), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

როდის მოელეგა ბოლო ამდენ უკანონობას? ③

მიდი, ერთაოზ! ანუ „გაფრენა-აფრენა“ დღეს

⑤

ქარლო კოპალიანი:

ნაციონალურმა მოძრაობამ რამდენიც არ უნდა იყაყანოს, არაფერი გამოუვა

ბერბიჭები სამშობლოს მკვლელები არიან! ④

ნინო ჩხობაძე, ანზორ თოთაძე:

1945 წლის შემდეგ მსოფლიო ყველაზე მასშტაბური ჰუმანიტარული კრიზისის მიჯნაზე აღმოჩნდა

რელიგია, როგორც „რბილი ძალა“ და პოლიტიკის ინსტრუმენტი სამხრეთ კავკასიაში ⑧

სურსათის ღამის საწყობი... საზოგადოებრივ საპირფარეშოში ⑪

თბილისის ბაზრობების ასოციაციის საგანგებო განცხადება

⑧

ევროსასამართლომ რელიგიური სიმბოლოების ტარების აკრძალვის ნება გასცა

1 0 1 წლისა გარდაიცვალა პირველი ამერიკელი მილიარდერის ჯონ როკფელერის შვილი — დევიდი. ის აღიარებული იყო როგორც გლობალიზაციის იდეოლოგი და ქველმოქმედებისთვის თავგადადებული პიროვნება. დევიდ როკფელერმა გაჭირვებულთა დახმარებას ერთ წელიწადში (2006 წელს) 900 მილიონი დოლარი მოახმარა...

საგანგებო სამსახურების საიდუმლოებანი

შცოჩლოცები და მათი ქალბატონები

⑨

ამერიკელი დიპლომატის ტელეგრამებიდან:

ქართველები ზარმაცი, ჭუჭყიანი, გაქნილი, ძალიან ამაყი და თავზეხელაღებული ხალხია

პრემიერ-მინისტრი საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ომალოს სასაზღვრო სექტორზე იმყოფებოდა

გუშინ გიორგი კვირიკაშვილი შსს-ს სასაზღვრო პოლიციის მე-5 სამმართველოს (ლაგოდეხი) მე-7 სასაზღვრო სექტორის მესაზღვრეებს შეხვდა და მათ სამუშაო პირობებს ადგილზე გაეცნო.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს წინასწარ მიულოცა მესაზღვრის დღე, რომელიც 21 მარტს აღინიშნება. მან მადლობა გადაუხადა მესაზღვრეებს გაწეული სამსახურისთვის, სამშობლოს დაცვისთვის, ვაკაცობისა და ამტანობისთვის.

„თქვენ დგახართ ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოების სადარაჯოზე და საქართველოს მიწა-წყალს იცავთ. არ არსებობს ამაზე საპატიო მისია, ვიდრე ემსახურო შენს ქვეყანას. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ერთგული გუშაგები. საქართველოს სახელით, მადლობას გიხდით სამშობლოს სამსახურისთვის, ჩვენი სიმშვიდისთვის. გისურვებთ დღეგრძელობას, საქართველოს გაძლიერებას, თქვენი ოჯახების კეთილდღეობას“, — განაცხადა პრემიერმა მესაზღვრეებთან შეხვედრისას.

გუშინვე საქართველოს პრემიერ-მინისტრი დიკლოში იმ მესაზღვრეებს შეხვდა, რომლებიც №7 სასაზღვრო სექტორის დროებით სასაზღვრო პოსტზე მსახურობენ. გიორგი კვირიკაშვილმა მათ ასევე მიულოცა პროფესიული დღესასწაული.

შსს-ს სასაზღვრო პოლიცია მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს ხუთწლიან მოდერნიზაციის, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს სასაზღვრო პოლიციის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას, ინფრასტრუქტურის განახლებას, საზღვაო ფლოტისა და ავიაციის საშუალებების მოდერნიზაციას. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, განახლდა სატრანსპორტო საშუალებები, პერსონალური აღჭურვილობა, გაუმჯობესდა სასაზღვრო პოლიციის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სისტემები.

თუშეთში მყოფი პრემიერ-მინისტრი ადგილობრივ მოსახლეობასაც გაესაუბრა და მათი პრობლემების შესახებ მოისმინა. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, იწყება თუშეთის გზის მშენებლობა, რაც უმნიშვნელოვანესია მთათუშეთის განვითარებისთვის; ხორციელდება მთელი რიგი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასაცავად; ასევე დაგეგმილია წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა და ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის სამუშაოები.

დიმიტრი ქუმსიშვილი: სსფ-თან მიღწეული პროგრამა, პრაქტიკულად, ჩვენი 4-პუნქტიანი გეგმაა

„საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მისიის დონეზე ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას ახალი პროგრამის დაწყებაზე, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ სავალუტო ფონდთან მიღწეული პროგრამა, პრაქტიკულად, ჩვენი მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმაა“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა სასტუმრო „რედისონში“ მიმდინარე საერთაშორისო ბიზნესფორუმზე „საქართველოს ეკონომიკა: პერსპექტივები და გამოწვევები“ სიტყვით გამოსვლისას.

„ეს არის ის გეგმა, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ; ჩვენ მოვინდომეთ; ჩვენ გავაკეთეთ მისი დეკლარირება; ჩვენ შევპირდით ჩვენს ამომრჩეველს და რაც მთავარია, ჩვენ თავად ვართ დარწმუნებული მის აღსრულებაზე“ — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

„სწორედ ამიტომ დღეს ჩვენ ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ სავალუტო ფონდი და საერთაშორისო თანამეგობრობა სრულიად უჭერს მხარს იმ რეფორმებს, რომლებიც ჩვენს ქვეყაანში ტარდება“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

* * *

შემდეგი რეფორმა, **რომელსაც განვახორციელებთ, იქნება ბიზნეს სახლი. ასევე მომზადდება მისი მხარდამჭერი პორტალი — ელექტრონული სივრცე, სადაც კერძო სექტორი მიიღებს 600-ზე მეტ სერვისს ერთ პორტალზე, ისევე როგორც ბიზნესსახლში,** — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, „ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, რომელიც იძლევა მთავრობის ზომის შემცირების რეალურ შანსს; იძლევა სწორ გადაწყვეტილებებს იმისათვის, რომ ჩვენ საუკეთესო სერვისები მივაწოდოთ კერძო სექტორს და ამავდროულად მოვახერხოთ ყოველივე ამის სწორი ადმინისტრირება“. მისი თქმით, ბიზნესსახლი კიდევ ერთი უნიკალური სერვისი იქნება გაწეული ინვესტორებისათვის, იმ ხალხისთვის, რომლებიც საქართველოში ინვესტიციებს განახორციელებს.

* * *

დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ძალიან ახლოსაა ქეინსის თეორიის იმ ნაწილთან, რომლის თანახმადაც, როდესაც ქვეყანას უჭირს, სახელმწიფომ უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და მოახდინოს კაპიტალური დანახარჯები, რათა რეგიონში არსებულ პრობლემებს წარმატებით გაართვას თავი.

გარდა ამისა, პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე გამომდინარეობდა ქვეყნის სატრანზიტო და ტურისტული პოტენციალის გაძლიერების მოტივითაც. **„ჩვენ ძალიან გვჭირდება ჩვენი სატრანზიტო პოტენციალისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და გაძლიერება. ჩვენ გვჭირდება ქვეყანა, რომლის რეგიონები ერთმანეთთან უკეთესად იქნებიან დაკავშირებული, მათ შორის, მობილობა იქნება გაცილებით დიდი და სატრანზიტო პოტენციალი იქნება გაცილებით ბევრად მაღალი“,** — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

„ჩვენ ვართ გზაგასაყარი ევროპასა და აზიას შორის. ჩვენ ვართ უნიკალური ქვეყანა, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს აზიას ევროპასთან. ჩვენ გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება როგორც ჩინეთთან, ისე ევროპასთან“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა და დასძინა, რომ აღნიშნული პოტენციალის უკეთ ათვისებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ინვესტიციას განახორციელებს.

პრეზიდენტმა ე.წ. მოსმენების კანონპროექტს ვეტო დაადო

ე.წ. მოსმენების კანონპროეტს პრეზიდენტმა ვეტო დაადო. ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

პრეზიდენტმა ე.წ. მოსმენების კანონპროექტთან დაკავშირებით არსებულ ხარვეზებზე ისაუბრა და ის პარლამენტს მოტივირებულ შენიშვნებს გადაუგზავნის. გიორგი მარგველაშვილის თქმით, კანონპროექტში არის რიგი საკამათო საკითხები, თუმცა ძირითადად ორი ხარვეზი გამოიკვეთა.

„პირველი არის სააგენტოს დამოუკიდებლობა, რომელიც წარმოდგენილი კანონპროექტით არ არის უზრუნველყოფილი, შესაბამისად, ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მეორე არის კანოპროექტში გაუმართლებელი და არაპროგნოზირებადი ხარკები, რომელიც ეს კანონპროექტის საკომუნიკაციო კომპანიებს აკისრებს“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

დრო, უკეთესი კანონების წერა დავიწყოთ!

საქართველოს პრეზიდენტმა უმრავლესობას მიმართა. გუშინ გამართულ ბრიფინგზე გიორგი მარგველაშვილმა მის მიერ ვეტოდადებულ კანონპროექტებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ უკეთესი კანონების წერის დრო დადგა:

„მე ვიცი,რომ თქვენ გაგაჩნიათ საკონსტიტუციო უმრავლესობა, ყველამ იცის ,რომ ვეტო დაძლევადია, მაგრამ ამ ვეტოს წერის პროცესში ჩვენ ვაწარმოებდით კონსულტაციებს, მოგიწოდებდით,რომ ჩვენთან გქონოდათ კონსულტაციები. ჩვენ გვჯერა, რომ „ქართულ ოცნებას“ შეუძლია ამ ვეტოს დაძლევა, დადგა დრო, რომ ყველამ დავიჯეროთ, ვეტო დაძლევადია და დრო დადგა, რომ უკეთესი კანონების წერა დავიწყოთ“, — მიმართა გიორგი მარგველაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობას.

ნინო ბურჯანაძე: ბოლო ნიუსებს გადავავლოთ თვალი და ვიკითხოთ, ჩვენ ხალხი ვართ საერთოდ?

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ 2023 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბიძინა ივანიშვილი აქტუალური ფაქტორი აღარ უნდა იყოს. მისი განცხადებით, პრეზიდენტი ძალიან მნიშვნელოვან განცხადებებს აკეთებს და ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

„ერი თუ ცხვრად გადაიქცა მაშინ შეიძლება 2023-ში კი არა, 2033-შიც იყოს ბიძინა ივანიშვილი აქტუალური. თუ ერი ცხვრად არ გადაიქცევა და ცხვრის ფარად არ გადავიქცევით ასეთ შემთხვევაში გარწმუნებთ, რომ წესით ამ ადგილობრივი არჩევნების და მით უმეტეს შემდეგი არჩევნების დროს ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი რადიკალურად გადამწყვეტი არ უნდა იყოს.

ბოლო ნიუსებს გადავავლოთ თვალი და ვიკითხოთ, ჩვენ ხალხი ვართ საერთოდ? ჩვენ სახელმწიფო ვართ? პრეზიდენტი გამოდის ქვეყანაში და ამბობს, რომ ჩემი ოჯახის წევრს ნარკოტიკი ჩაუდეს და დაირღვა ყველანაირი უფლებები მისი ჩხრეკის დროსო. მე არ ვიცი, როგორ იყო სინამდვილეში, მაგრამ როდესაც პრეზიდენტი ასეთ განცხადებას აკეთებს, ხომ უნდა ჩატარებულიყო როგორც მინიმუმ ისეთი გამოძიება, რომ დღეს მე და თქვენ ერთმნიშვნელოვნად გვქონდეს სათქმელი, რომ ან პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს ან რაღაცაშია საქმე და ვიღაცა უნდა დაისაჯოს“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

სრ. როდის მოელება ბოლო ამდენ უკანონობას?

მიდი, ერთაოზ! ანუ „გაფრენა-აფრენა“ დღეს

ერთაოზს რომ ღაჭავა-კოდუების შესახებ სმენოდა რაიმე, „ბიძია-ბაბუას“ შეკითხვას – თუ გჯერა რომ ადამიანი გაფრინდებაო?! – „ღმერთმა თუ მოინდომა, რა დაუდგება წინო“ – ამის მაგივრად, მაგენმა თუ მოინდომეს, რა დაუდგება წინო – უპასუხებდა ალბათ! ყოველ შემთხვევაში, აქამდე ვერც ერთი მიწიერი წინაღობა ამ ოჯახის (და არა მარტო მათი) საქმიანობის შემაყოვნებელ ბარიერად ვერ გამოდგა. ბარიერში მათგან დაჩაგრულებს ვგულისხმობ, თორემ კანონის და სახელმწიფოს დონეზე, პასუხი არც არავის მოუთხოვია. ის კი არადა – აზრადაც არავის მოსვლია! (?!) თუმცა, მხოლოდ შიშველი მონდომებაც ვერაფერს გახდებოდა, რომ არა გუშინდელი ხელისუფლების მტაცებლური ინსტიქტები და დღევანდელების დასასჯელებისადმი გაუგებარი „ტოლერანტობა“!

კითხვებსაც სწორედ, გუშინდელისადმი ხელჩაქნეული დამოკიდებულება ბადებს, თორემ დაუსჯელობისგან „ფრთაშესხმული“ ღაჭავა-კოდუები არც პირველი არიან და არც სამწუხაროდ, უკანასკნელები. არც ის ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, გააოცებს ვინმეს.

თუ ვწერთ, მხოლოდ იმიტომ, რომ იქნებ ვინმემ წყალობა მოიღოს, პროცესი შეაჩეროს და აქამდე გაყიდვას სასწაულით გადარჩენილი მილიონებად ღირებული კიდევ ერთი ობიექტი ქვეყანას დარჩეს. მით უფრო რომ „ბოროტი“ ენები ამბობენ, რომ დაიწყო უკანონოდ ჩამორთმეული და საერთოდაც, წართმეული ქონების ადრინდელ მფლობელებზე დაბრუნების პროცესი.

2007 წლის თებერვალში სასტუმრო „საქართველოში“ განთავსებულ „შპს“ „მასვალოს“ და „მასპინძელს“ მაშინდელი „სოდი“ მიადგა და ობიექტზე რვათვიანი რევიზიით ჩაჯდა. შესვლის მიზეზი რომ მხოლოდ ფინანსური რევიზია არ იყო, მოგვიანებით, ზაფხულში „გაამხილეს“, როცა „სოდის“ უფროსის ერეკლე კოდუას ძმა, დავით კოდუა და დედამისი ლაურა ღაჭავა აქაურ დამფუძნებლებს „პოტენციურ“ მყიდველებად მოევლინენ. ლაურა ღაჭავამ „მოახერხა“ და შპს „საქართველოში“ ორი წლის ბრძოლის შემდეგ მფლობელად დარეგისტრირდა, მაგრამ ამ ყველაფერს „წილების დათრევის“ ჩვეული მეთოდი უძღოდა წინ: დააპატიმრეს რამდენიმე გასხვისებაზე გაჯიუტებული ქონების მფლობელი და დამფუძნებელი. დანარჩენებს „სოდმა“ შეუზღუდა საქნიანობა. გათვლა მარტივი იყო: როცა იძულებით გაჩერებული საწარმო არც ბიუჯეტს აძლევს რამეს და არც ოჯახში შედის კაპიკი, პატრონი იძულებული ხდება, ან ყველაფერზე თქვას უარი ან არადა „მყიდველის“ შემოთავაზებულ კაპიკებს დათანხმდეს. ასეც მოხდა, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. 2007 წლიდან დღემდე მთლიანად განიავდა აქაური ქონება. მოძალებულმა ფინანსურმა ვალდებულებებმა პრობლემას პრობლემა მიამატა. ოჯახურმა კლანმა „პარტნიორები“ აიძულა, მის სასარგებლოდ დაეთმოთ აქამდე შემორჩენილი წილები, რის შემდეგაც, შპს „საქართველოს“ მართვის საკონტროლო პაკეტი – 89% მათ ხელში აღმოჩნდა. დარჩენილი, გურამ ახრახაძის კუთვნილი წილი დიდად აღარ აღელვებთ. გაყიდვის შემთხვევაში 89%-ის მფლობელი ახალი პატრონი მას ძალზე იოლად „დაითრევს“ – თუნდაც საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში პატრონი ან სულ დაკარგავს, ანდა, იმ 11%-ის გასხვისებას დაყაბულდება. ესეც წინასწარ „სწორად“ გათვლილი და გაზრებულია.

სხვათა შორის ეს ის გურამ ახრახაძეა, რომელმაც წლების მანძილზე საკუთარი ფირმის შესახებ ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფმა, საჯარო რეესტრში გაარკვია, რომ 2013 წლის ნოემბერში (?!) შპს „საქართველოს“ კუთვნილი შენობა, მიწის ნაკვეთთან ერთად ქალბატონ ღაჭავას ერთპიროვნული, პარტნიორებთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებით მთლიანად დაიტვირთა იპოთეკით „ქართუ ბანკიდან“ მიღებული (?!) 8.5 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ. სხვადასხვა ინსტანციის 6 სასამართლოსა და რაც მთავარია, სააპელაციო სასამართლოს პრინციპულმა პოზიციამ შპს „საქართველოს“ აუქციონზე გატანა შეაჩერა. თუმცა როდემდე, ძნელი სათქმელია. ძალზე საინტერესო ის არის, რომ „ქართუ ბანკიდან“ მიღებული ფულით ლაურა ღაჭავამ იპოთეკით დატვირთული საკუთარი ქონება „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“ გამოისყიდა. ასე რომ, შპს „საქართველოს“ ერთი თეთრიც არ მოხმარებია. დღემდე, არც ამ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე დაძრულა ადგილიდან.

დაძრულა კი არა, სრულიად შესაძლებელია, რომ სანამ ვიღაც ჩვენი ნაცოდვილარის კითხვით ერთობა, ღაჭავამ შპს „საქართველო“ გაასხვისოს კიდეც.

შედეგი?

კიდევ ერთი, მილიონებად შეფასებული ობიექტი აღმოჩნდება უცხო ქვეყნის მოქალაქის ხელში.

კიდევ ერთი ქართული ბიზნესჯგუფი დარჩება ცარიელ-ტარიელი და ქონების გარეშე!

გულწრფელად რომ გითხრათ, პიროვნულად სულაც არ ვართ ქალბატონ ლაურა ღაჭავას და მისი ოჯახის მტერი და ავის მოსურნე. საკუთარი თავისა და სახელმწიფოებრიობის პრინციპების უარმყოფელ საზოგადოებას და ქვეყნის ხელისუფლებას უფრო ეხება ჩვენი ნათქვამიც და პრეტენზიაც. პირადად ჩვენთვის „ღაჭავა-კოდუები“ უფრო კრებითი მცნება და ფენომენია, ვიდრე კონკრეტული ჯგუფი და კლანი. ჰოდა, კლანებად დაჯგუფებული საზოგადოების ერთი ნაწილიც დანარჩენების წაყრუება-სიბრმავით წახალისებული აკეთებს „თავის საკეთებელს“. არა ერთი მაგალითი ვიცით იმისა, თუ როგორი და რომელი მეთოდებით იქცნენ გუშინდელი, მოკრძალებული ჩინოვნიკები მილიონებად შეფასებული ქონების პატრონებად. მერე რა, რომ საბავშვო ბაღების, სკვერებისა და მოედნების, ტყე-პარკებისა და საცურაო აუზების ადგილზე სახლები, რესტორნები და სავაჭრო ცენტრები გახსნეს. მთავარია, რომ ოჯახებს და საკუთარ თავს ბავშვობის სურვილი აუსრულეს და ერთ დროს, სამსახურებში უფროსის დანახვაზე კედელზე აკრულებს, ახლა „თავისუფლად სუნთქვის“ საშუალება მიეცათ და „საჭირო კაცების“ რიცხვში ჩაეწერნენ.

არადა, უმრავლეს შემთხვევაში არსად წერია და არსად, არც ერთ სასამართლოს არ დაუფიქსირებია, რომ ამათმაც და სხვებმაც სხვისი წილები და ქონება სამსახურებრივი მდგომარეობით, შანტაჟით, მუქარითა და ძალით ჩაიგდეს ხელში. სამაგიეროდ, მათ ყველა საჭირო დოკუმენტი გააჩნიათ, დასტურად იმისა, რომ მათ მიერ შეძენილი „ალალი და უსაყვედუროა“. (?!)

ასეა, ბატონებო, ასე!

მთავარია, რომ დოკუმენტურად ყველაფერი „სწორია“ და ყველა საბუთი „მოწესრიგებულია“! მთავარია, რომ ყველა ამ სიყალბესა და ფიქციას „ქვის გამხეთქავი“ დოკუმენტაცია ამაგრებს! მთავარი ქაღალდია, ქაღალდი, რომელიც ყველაფერს და ყველანაირ ბეჭედს უძლებს და იტანს!

ჰოდა, კანონმორჩილი საზოგადოებაც, როგორც ჩანს, თანახმაა, კარგად დაიბანოს წლების მანძილზე ნაცარშეყრილი თვალები და ქაღალდის და ზედ დარტყმული ბეჭედის ჭკუაზე იაროს!

უნდა დავიჯეროთ ისიც, რომ ქონების „ნებაყოფლობით“ დამთმობებს საკუთარი ოჯახის ბედნიერებაზე მეტად ღაჭავა-კოდუების გაღიმებული სახეების ყურება ახარებთ!

უნდა დავიჯეროთ, რომ მავანისგან საქართველოში „დასათრევად“ გახაზირებულ ობიექტებს მაშინდელი „სოდი“ მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე შეესია და არც მათი უფროსის უკანონო, სიტყვიერი ბრძანება და არც დედის და ძმის კერძო ინტერესი არაფერ შუაშია.

უნდა დავიჯეროთ, რომ პრივატიზებული სასტუმრო „აფხაზეთი“ უსასყიდლოდ და საკუთარი ნებით დაუბრუნეს სახელმწიფოს „გულჩვილმა“ პატრონებმა!

უნდა დავიჯეროთ, რომ უამრავი შპს-სა და მათ შორის, ს/ს „მასპინძლისა“ და შპს „მასვალოს“ აქციონერებს სიხარულის უძილობა სჭირდათ იმის მოლოდინში, როდის მიართმევდნენ ქონების „ნებაყოფლობით“ გადაფორმებაზე ხელის მოსაწერად გამზადებულ, „ნანატრ“ საბუთს.

უნდა დავიჯეროთ, ისიც რომ იმ პერიოდში, ფინანსურ პოლიციაში დაკითხვიდან შინ დაბრუნებული, შპს „საქართველოს“ ბუღალტრის ვაჟა ოთიურიძის (იმავე საღამოს დაემართა ინსულტი) გარდაცვალება ბრმა შემთხვევითობის ბრალია.

უნდა დავიჯეროთ, რომ ათი წლის მანძილზე პასუხისგებაში მიცემული (ნახევარზე მეტი სწორედ „სოდის“ კისერზეა) 300 ათასზე მეტი ადამიანი სინანულით ახლიდა კედელს თავს: მადლობა მიშას და მის მთავრობას, თორემ უარესი სასჯელის ღირსები ვართო.

ბევრზე ბევრი ასეთი რამ უნდა დავიჯეროთ! მათ შორის ისიც, რომ ამდენი სიყალბის ავტორებს დღეს რამდენიმე, შემთხვევით თანამდებობაზე მოხვედრილი, ანდა „ძველებიდან“ შემორჩენილი რომელიღაც ჩინოვნიკი მფარველობს და „პატრონობს“! (?!)

წესით, ამ სტრიქონების ავტორებს იქნებ არც უნდა გვაწუხებდეს, როგორ და რა ფორმით მიუბრუნდება ხელისუფლებას ასეთი განუკითხაობით ნაკარნახევი ხალხის განწყობა, მაგრამ ყველა ჭკუათამყოფელი დაგვეთანხმება, რომ სულერთი არ არის ის გამოუსწორებელი ზიანი სახელმწიფო ინტერესს რომ შეიძლება მიადგეს!

ჟურნალისტს ერთი ვალი და საქმე აქვს – წეროს. ჰოდა, დავსვამთ ახლა ჩვენც ჟურნალისტების „საყვარელ“, ბოლო რიტორიკულ კითხვას: **როდის მოელება ბოლო ამდენ უკანონობას და რამდენიმე უწესო ჩინოვნიკის პარპაშს ქვეყანაშიო და სათქმელიც ნათქვამი გვექნება და ვალიც მოხდილი, მაგრამ მერე რა ვქნათ - მერე?!**

ამის წამკითხავი ადამიანები რომ იკითხავენ: – რატომ არის ქვებანა ჩალით დახურულიო?! რა ვუპასუხოთ?!

არადა, ჩვენ რატომ უნდა ვუპასუხოთ?!

გუბაზ მეგრელიძე,
მერაბ გუგუნაძე.

მოსმენების კანონს რამდენიმე ხარვეზი აქვს

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, ანა დოლიძემ ე.წ. მოსმენების კანონპროექტის ხარვეზებზე კიდევ ერთხელ ისაუბრა. გამოიყენებს თუ არა გიორგი მარგველაშვილი ვეტოს უფლებას მოსმენების კანონპროექტზე, ჯერ უცნობია, პრეზიდენტს გადახედვისთვის დრო ხვალამდე აქვს.

„კანონს აქვს რამდენიმე ხარვეზი, მაგრამ ჩვენ ყურადღებას მხოლოდ 2 თემაზე გავამახვილებთ. პირველი არის სააგენტოს დამოუკიდებლობა, რამდენად დამოუკიდებელი იქნება ის სუს-ისგან, მეორე არის თუ რამდენად გამართლებულია წნეხი, ხარჯი, რომელსაც ეს კანონი ბიზნესებს აკისრებს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო რეგიონულ ბიზნესებს“, – განაცხადა ანა დოლიძემ.

„სუს-ს თუ არა აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რა მესიჯები იგზავნება, რისი სუს-ია“?

ასე გამოეხმაურა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე მმართველი გუნდის საიდუმლო მიმოწერასა და „რუსთავი-2“-ის საქმეზე წინასწარ დაწერილ ტექსტებს, რომელიც „პოსტსკრიპტუმს“ კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა.

ელექტრონული წერილების მიხედვით ირკვევა, რომ ქართული ოცნების წევრებისთვის იგზავნება წერილები, სადაც წინასწარ არის მომზადებული ტექსტი, რაც კამერის წინ უნდა ილაპარაკონ.

საიდუმლო მიმოწერის რამდენიმე ფაილიდან ერთ-ერთი „რუსთავი-2“-ს ეხება. დეპუტატების გარდა შეტყობინება ეგზავნებათ პროკურატურისა და უშიშროების წარმომადგენლებს და ასევე ივანიშვილის დეიდაშვილს უჩა მამაცაშვილს.

ე.წ. მესიჯბოქსს იღებს საქართველოს მთავარი პროკურორი, კანონის მიხედვით კი ის თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია

მმართველი გუნდის საიდუმლო მიმოწერაზე, რომელიც „პოსტსკრიპტუმმა“ გაასაჯაროვა, შეფასებებს ოპოზიციის წევრები აკეთებენ. „ევროპულ საქართველოში“ ამბობენ, რომ პროკურატურა არ არის დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში და ის პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს.

„ე.წ. მესიჯბოქსს პოლიტიკოსებთან ერთად იღებს საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე. კანონის მიხედვით, პროკურატურა თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი და არ უნდა ემორჩილებოდეს რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს, მაგრამ გვაქვს რეალობა, როდესაც მთავარი პროკურორი ასრულებს პოლიტიკურ დაკვეთებს, იღებს მითითებებს ივანიშვილისგან,“ – განაცხადა ოთარ კახიძემ.

ელექტრონული წერილების მიხედვით ირკვევა, რომ „ქართული ოცნების“ წევრებისთვის იგზავნება წერილები, სადაც წინასწარ არის მომზადებული ტექსტი, რაც კამერის წინ უნდა ილაპარაკონ.

ბერბიჭები სამშობლოს მკვლელები არიან!

ისე შევეჩვიეთ ცუდსა და ავს, თითქოს გასახარებელი და სასიკეთო არა ხდებოდეს რა.

არადა, ერთმა, თითქოს უმნიშვნელო ამბავმა დიდად გამახარა.

ჩემმა მეზობელმა გუხუტი კურტანიძემ ცოლი შეირთო.

ეგ რა დიდი ამბავიაო, იტყვის მავანი. არადა, ამ ამბავს შორი ფესვები აქვს.

საკმაოდ დიდი ხნის წინათ ბუხუტის მამამ უმაღლესი დაამთავრა, ოჯახი შექმნა, მაგრამ ცხოვრების გაუსაძლისი ყოფის გამო ინგლისში გადაიხვეწა.

იმხანად საქართველოში დიდი არეულობა იყო, მხედრიონი და სხვა შეიარაღებული ბანდფორმირებები დათარეშობდნენ.

მალე გოგამ ცოლ-შვილი წაიყვანა, ბავშვები იქ სწავლობდნენ. ასე რომ, კიდევ ერთი ოჯახი დაიკარგაო, ვნანობდით მეზობლები.

მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ გოგას შვილები, და-ძმა, დაუბრუნდნენ თავიანთ კერას, იქ, უცხოეთში მიღებული სწავლა-განათლება აქ სამშობლოში დიდად წაადგათ. მარტოხელა მოხუცი ბებოც გაახარეს, ფუძეც გააძლიერეს.

არადა, რამდენ ჩვენებურს გაუტკბა იქ ცხოვრება, რამდენმა დაივიწყა უფალი ღმერთის ნაბოძები ღვთით კურთხეული სამშობლო და საერთოდ გადაიკარგა. ასე ნელნელა იცლება ქვეყანა, სოფლები განადგურდა, მთად მოსახლეობა ხომ არ შემოგვრჩა.

რა თქმა უნდა, კურტანიძეების ამბავი სასიამოვნო და ქების ღირსია, მაგრამ ამჯერად კალამი თითქოსდა უწყინარმა სულ სხვა სახის საბედისწერო ტრაგედიამ, ქვეყნის ტრაგედიამ ამაღებინა.

როგორღაც აღმოვაჩინე, რომ მარტო ჩემს რვასართულიან კორპუსში ათზე მეტი ბერბიჭაა, ისიც 40 წელს გადაცილებული.

სხვისი არ ვიცი და მე კი ეს „ბერბიჭობანა“ მამულის ტრაგედია მგონია.

არადა, ამ სამიოდე თვის წინათ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთ ნომერში ბერბიჭებზე საკმაოდ მწვავე და ვრცელი სტატია გამოვაქვეყნე. რა თქმა უნდა, რუსთაველ ბერბიჭებზე, უშვილძიროდ გადაგებულის ნაღდ კანდიდატებზე.

მაშინ საუბარი მქონდა სამასამდე ორმოცი წლის, ან მეტი წლოვანების თანამოქალაქეებზე, რომელთა აღმოჩენა ნამდვილად არ გამჭირვებია.

საგაზეთო წერილის შემდეგ ახალი ინფორმაცია მომიგროვდა და ჩემი მონაცემები ლამის გაორმაგდა.

ის, რომ შინაბერა ქალების რიცხოვნება შესაბამისია, თუ მეტი არა, ამას დიდი თავისმტვრევა არ სჭირდება.

ოღონდ ერთი კია, მოგვიმრავლდა უცხოელი სასიძოები, რა თქმა უნდა, არაქართული ელფერით, ზოგიც ჩალმიანები, შავტუხები და ჭრელაჭრულები.

ერთი ასეთი სიძე-პატარძალი ჩემს შენობაშიც მდგმურად გაგვეჩითა.

— მე თუ მკითხავ, ეს ბერბიჭები, უცოლშვილოდ გადაგებულნი სამშობლოსთვის უფრო მუხანათები და მავნებელი არიან, ვიდრე ხმალშემართული მტრებიო, აღშფოთდა ჩემი მეგობარი, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი, როცა ჩემი ზემოთ ხსენებული წერილი წაიკითხა. შეგნებულად თუ შეუგნებლად ქვეყნის და ერის მოღალატენი გამოდიან. ისინი მამა-პაპის ჯიშსა და გენს კლავენ. ძირფესვიანად თხრიან და ანადგურებენ.

თქმა არ უნდა, ესეც არის, თუ წინათ შემოსეულ ურიცხვ მტერს ეწირებოდა რჩეული გვარის, ჯიშისა თუ გენის საამაყო წარსულის მქონე მამულიშვილნი, ახლა ეგ ბერბიჭები თვითონვე უთხრიან საფლავს იმ დიდებულ მოდგმას და მათ ფუძე-კერას ანადგურებენ.

პირადად არცთუ ცოტა ახლო მეგობარიც მყავს — ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი თუ სხვა პროფესიის წარმომადგენელი, სრულიად ჯანმრთელნი, შეძლებული ოჯახისშვილებიც და უკვე ხელჩაქნეულნი... ერთი სიმღერისა არ იყოს „არც ჰოს ამბობს და არც არას“!. ამასობაში შემოაღამდათ კიდევაც.

სუფრასთან, იცოცხლეთ, სამშობლოს სადღეგრძელოს ისე ჩამოარაკრაკებენ, რუსთაველს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის სულ ლექსად მოქარგავენ, სისხლს აგიჩქროლებენ, გულს აგიჩუყებენ.

შეიძლება, ვინმეს ცხელ გულზე ნათქვამი, გადამეტებულად მოეჩვენოს ეგ სულის ბოღმიანი ამოძახილი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: დიახ, ეს ასეულობით ბერბიჭები მარტო რუსთავის გასაჭირი, ბედისწერა, უბედურება როდია, ახლა თბილისში დაითვალეთ, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავში. სოფლები, ხომ დაიცალა და გაპარტახდა...

ამ პრობლემამ რომ შემაწუხა, ჩემს მეგობარს, პარლამენტარს, გამოცდილ იურისტს, ცხოვრებაში გამობრძმედილ მამულიშვილს, პატივცემულ პაატა მხეიძეს გავუზიარე გულისტკივილი. იქნებ რაიმე სახელმწიფოებრივი ბერკეტი გამოინახოს-მეთქი.

არა მგონია, საქმეში მაინც ჩავიხედავ, გავიკითხ-გამოვიკითხავ, თუმცა დანამდვილებით ვიცი, სადღეისოდ ხელჩასაჭიდი არაფერიაო. იქნებ ფინანსური წახალისება წაადგეს საქმესო.

ჰოდა, დავთქვით, რუსთავის მომავალი წლის ბიუჯეტის რაღაც წილის საამისოდ გაღება ვთხოვოთ ქალაქის მერიას და საკრებულოს.

ხომ არის ნათქვამი, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო.

როგორ?! გადაირია ჩემი ბიზნესმენი მეგობარი, ერთი რაჭულადაც, გრძლად და გულიანად შეიკურთხა. თუკი ოპოზიცია დღევანდელ ხელისუფლებას ღიად, საჯაროდ მოღალატეებს ეძახის, თუკი პარლამენტის უმრავლესობას უმცირესობა ქვეყნის მტრებად აცხადებს, არადა, სააკაშვილის 9-წლიანი ვერაგული პრეზიდენტობის ჟამს თვითონ მტრედებივით ღუღუნებდნენ, გვრიტებივით ისხდნენ პარლამენტის ტრიბუნა-ქანდარებზე, ახლა ხმალამოღებული უტევენ უმრავლესობას, აბუჩად იგდებენ ამომრჩევლებს, თვალებში ნაცარს გვაყრიან. ამ დროს ეს ბერბიჭები ასე უღმერთოდ რომ წირავენ ერს, ვერაგულად გვიმრავლებენ შინაბერებს, ღმერთისგან დედებად გაჩენილ კეთილშობილ მანდილოსნებს, რატომ საიმისო კანონი არ გამოინახა, ამ არაფრის მაქნისებს, ქვეყნის მომავლის დამაქცევართ მოევლოთო. დღეს ხომ დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე ვართო.

უკვე მერამდენედ ვამბობ, იმ კომუნისტების დროს, მე რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე ვიყავი. იმხანად ერთიორად გაიზარდა მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა, ერი წელში გაიმართა... მოკლედ კომუნისტური ხელმძღვანელობის მხარდაჭერით დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა — საქართველოს მოსახლეობამ 5 მილიონს გადააჭარბა!

ეჭვი არ მეპარება, ბევრი გაბრაზებული მომაძახებს, რა დროს ეგაა, უმუშევრობამ და სიღარიბემ წალეკა ქვეყანაო.

მე მათ შევახსენებდი: ბევრი დიდებულადაც რომ ცხოვრობს და რესტორნებიც რომ გადავსებულია?!

მსოფლიოს უღარიბეს, ჩვენზე ბევრად გაჭირვებულ ქვეყნებში ქალები რომ მინიმუმ 5-5 შვილს აჩენენ და ზრდიან, საქართველოში კი მხოლოდ 1;5 (დიახ, დიახ, 1,5) შვილს, ესეც სიღარიბის ბრალია?!

ეს ჩვენი ამბიციური სიამაყის, სიზარმაცისა და სულიერი ურწმუნოების ბრალია.

ამიტომაც მოგვიმრავლდნენ ბერბიჭები!..

ჭკუით, ჭკუით, ქართველებო!..

გივი ჯაჯუა

ნინო ჩხობაძე, ანზორ თოთაძე:

1945 წლის შემდეგ მსოფლიო ყველაზე მასშტაბური ჰუმანიტარული კრიზისის მიჯნაზე აღმოჩნდა

მსოფლიო ჰუმანიტარულ კრიზისშია, დედამიწაზე 20 მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილობს. ამის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ ჰუმანიტარულ საკითხებში სტივენ ო' ბრაიენმა განაცხადა. მისივე თქმით, თუ მსოფლიო არ მიიღებს ეფექტურ ზომებს, ადამიანები შიმშლით დაიხოცებიან. მიმდინარე წელს შიმშილს შეესაძლოა, 1,4 მილიონი ბავშვი ემსხვერპლოს. ამიტომ კატასტროფის ასაცილებლად ივლისისთვის 4,4 მილიარდი დოლარის მობილიზებაა საჭირო.

როგორც გაეროში აცხადებენ, პრობლემა არა მხოლოდ საკვების უკმარისობაში, ავადმყოფობასა და სიკვდილშია, არამედ იმაშიც, რომ ადამიანები ტოვებენ საკუთარ სახლებს და ინაცვლებენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ამით მასპინძელ ქვეყნებშიც არასტაბილურობა შეაქვთ.

„ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, იემენში ყოველ 10 წუთში ერთი ბავშვი იღუპება, თანაც, ისეთი დაავადებისგან, რომლის განკურნებაც უკვე შესაძლებელია.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ 4,4 მილიარდი 4 შეიძლება არ ეყოს მსოფლიოს, რადგან მძიმე ჰუმანიტარული კრიზისი და შიმშილია ბევრ ქვეყანაში. ის კი არა, 4,4 მილიარდი საქართველოსაც არ ეყოფა უკვე, ისეთ მდგომარეობაშია ზოგიერთი ფენა სოციალურად.

„რამდენიმე წელია, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ხან ერთ რეგიონში, ხან მეორეგან არ გვაქვს მოსავალი. ზოგიერთს ჰგონია, რომ მოსავალი არაფერს ნიშნავს, ამ დროს ბევრ რამესაც ნიშნავს, რადგან სიმინდს როცა ვერ იღებს იმერელი გლეხი, მშიერი რჩება მთელი ოჯახით. მსოფლიოში არსებობენ სკეპტიკოსები, რომლებიც ამბობენ, თითქოს კლიმატის ცვლილება არ ხდება და ეს პოლიტიკოსების მოგონილია. სინამდვილეში, გარემოს დამცველები ვაკვირდებით უარყოფით ტენდენციებს და გვჯერა, რომ კლიმატის ცვლილება ნამდვილად მიმდინარეობს. ცხელი ქვეყნებიდან ჩრდილოეთისკენ მიგრაციის ტალღა ზუსტად კლიმატის ცვლილებითაა გამოწვეული, რადგან ცხელ ქვეყნებში უკვე გაუსაძლისი პირობებია ცხოვრებისთვის.

შარშან გავრცელდა ინფორმაცია „ევრონიუსზე“, რომ ერაყში იმდენად მაღალი ტემპერატურა იყო ზაფხულში, რომ ბევრი ოჯახი გადასახლდა გერმანიაში, რუმინეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ეს იწვევს დამატებით შიმშილს. მიგრაციული ნაკადები შეცვლილია მთელ მსოფლიოში და ხალხი გადაადგილდება არა იმიტომ, რომ ულხინს, არამედ საკუთარ ქვეყანაში გაუსაძლისი ცხოვრების პირობებია“, — აცხადებს ნინო ჩხობაძე და მიმართავს მათ, ვისაც არ სჯერა კლიმატის ცვლილების, ნუ დაიჯერებენ, მაგრამ სასწრაფოდ საჭიროა რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება სახელმწიფოს მხრიდან. აუცილებელია ყოველმხრივ შეწონილი სოციალური, ეკონომიკური, გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური პოლიტიკის გატარება.

დემოგრაფი ანზორ თოთაძე ადასტურებს, რომ ჰუმანიტარული კრიზისი დაწყებულია, არა მარტო საკვების რაოდენობის მხრივ, არამედ იმითაც, რომ ეს საკვები უვარგისია. გენმოდიფიცირებული საკვები ისეთ მავნე ნივთიერებებს შეიცავს, რომელიც ადამიანის ორგანიზმში თანდათანობით გროვდება და რამდენიმე წლის შემდეგ იჩენს თავს სხვადასხვა მძიმე ავადმყოფობის სახით. ამიტომ საქართველოს შეუძლია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი აწარმოოს და ნაკლებად მიიღოს საზღვარგარეთიდან შემოსული პესტიციდებით სავსე პროდუქტები.

„მსოფლიოში კრიზისი დგება, რესურსები იწურება. მათ შორის, ამოწურვის პირასაა ენერგორესურსები, ნავთობი და სხვა. სამი ათეული წელი თუ ეყოფა კაცობრიობას ეს რესურსები, რადგან 22 წლის წინათ თუ საშუალოდ 146 მეტრზე ჩავდიოდით წიაღისეულის ამოსაღებად, ახლა ჩავდივართ 486 მეტრზე. თავისთავად ცხადია, ეს აძვირებს საქონელს, შემდეგ უკვე აძვირებს სასურსათო საქონელს. ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ადამიანზეც.

მეორე ფაქტორიცაა, მსოფლიოს მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება. ბოლო რამდენიმე წელია, ყოველ 12 წელიწადში 1 მილიარდით იმატებს მოსახლეობა. მაგალითად, 1987 წელს იყო 5 მილიარდი, შემდეგ 12 წელიწადში გახდა 6 მილიარდი, ამის შემდეგ გახდა 7 მილიარდი და ახლა 7 მილიარდს გადავაცილეთ. მოსახლეობა ისე სწრაფად იზრდება, რომ წარმოების საშუალება ვერ მისდევს მას. ამიტომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ევროპელი მეცნიერები ამბობდნენ, რომ ადამიანთა საერთო კეთილდღეობისთვის საჭირო მოსახლეობის რიცხვის სტაბილიზაცია, ან მისი შემცირება. ეს იქნებოდა ყველაზე დიდი განძი საერთო მშვიდობისა და აყვავების საქმეში“, — აღნიშნა ანზორ თოთაძემ.

მისივე თქმით, სომალში, სუდანსა და ნიგერიაში შიმშილი ახალი მოვლენა არ არის. გასული საუკუნის შუა ხანებიდან დაწყებული, ამ ქვეყნებში 20 მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილობდა. განსაკუთრებით, აფრიკაში მთელი რიგი მიწები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად უვარგისი ხდება. გაუდაბნოება დღესაც მიმდინარეობს, წყალი აღარ არის, სუფთა წყალს ადამიანები ვერ სვამენ. ეს გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამიტომ, თუ ზოგიერთ ქვეყანაში პრობლემაა, რომ სხვადასხვა მეთოდით როგორმე შეამცირონ ჭარბი მოსახლეობა, საქართველოში პირიქითაა, ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა ძალიან კლებულობს.

რაც შეეხება აზიის ტომებს, მილიარდ 400 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს უკვე ჩინეთში. ცოტა ხანში ინდოეთის მოსახლეობა გაუსწრებს ჩინეთისას. ასევე, ძალიან იზრდება აფრიკის მოსახლეობა. ამის საპირისპიროდ, თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ერთი ქალი საშუალოდ ბადებს 1,5 ბავშვს თავისი სიცოცხლის განმავლობაში, სომალში და სხვა ქვეყნებში ქალი 5-6 ბავშვს ბადებს. ბუნებრივია, 5-6 ბავშვით მოსახლეობა სწრაფად იზრდება და იქაურები ვეღარ აწარმოებენ იმდენ პროდუქტს, რაც საჭიროა ამ ბავშვების შენახვის, აღზრდისა და განვითარებისთვის.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲝᲞᲐᲚᲘᲐᲜᲘ:
ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲐᲧᲐᲜᲝᲡ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲐ

ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ წᲔᲕᲠᲛᲐ ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲝᲞᲐᲚᲘᲐᲜᲛᲐ „ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲗᲐᲜ“ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲘᲓᲒᲐ. ᲙᲝᲞᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲨᲔᲔᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡᲐᲪ.

— თქვენი შეფასებით, ბათუმში გამართული აქცია ეს იყო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმის გაპროტესტება თუ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია?

— ბათუმის მოვლენებზე ლაპარაკის დროს, გარკვეული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ ამ საკითხს. რა თქმა უნდა, ეს იყო ყოფით საკითხზე სპონტანურად დაწყებული აქცია, თუმცა, გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით, რათა პოლიტიკური ქულები დაეწერათ. ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას“. მათ რომ არ ესარგებლათ ამ შემთხვევით და არ მიეღოთ ამ უბედურებაში მონაწილეობა — გამიკვირდებოდა. ეს არის ის ძალა, რომელიც ყოველთვის დესტრუქციასთან ასოცირდება. მათ ვერ გათვალეს სწორად, რადგან ის კონფლიქტი, რაც ბათუმში 6 საათზე დაიწყო, 11 საათისთვის უკვე მოგვარებული იყო. შემდგომში, ეს ხალხი ჩაანაცვლა სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულმა გაურკვეველმა ჯგუფებმა და აქციამ აგრესიული სახე მიიღო. ჩვენს ქართულ საპროტესტო ისტორიაში წარმოუდგენელი რაღაც იყო. ძალიან ბევრი აქციის მონაწილე ვარ, მაგრამ მსგავსი რამ არ მინახავს, ეს ჩვენს ქართულ ბუნებაში არ ჯდება. ჩვენ არ ვართ ის ადამიანები, რომ ქუჩაში დავწვათ ქონება, ჩავამსხვრიოთ ვიტრინები და ა.შ. სამართალდამცავების საქმეა, გაარკვიონ, ეს იყო თუ არა შემდგომში ინსპირირებული კონკრეტული ადამიანების მიერ, ვისაც უნდოდა რაღაც პოლიტიკური ქულების დაწერა. გახსოვთ, ალბათ, მეორე დღეს ვარშალომიძემ მთავრობის სახლთანაც დააანონსა აქცია. ეს ადამიანები ჩარჩნენ 10 წლის წინანდელ ამბავში, როდესაც ქვებს ისროდნენ. ქვების სროლაც მათი იარაღია. უდანაშაულობის პრეზუმფციას არ დავარღვევ, თუმცა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ბათუმში განვითარებულ მოვლენებში პოლიტიკურად ბრალს ვდებ. როგორც ჩემთვის ცნობილია, სისხლის სამართლის კუთხით არის აღძრული რამდენიმე საქმე და სამართალდამცავები შესაბამის რეაგირებას მოახდენენ.

— ოპონენტების მხრიდან ისმის კრიტიკა, რომ ხელისუფლების რეაგირება დროული არ იყო და მათ შეეძლოთ, უფრო ადრე აღეკვეთათ ბათუმში განვითარებული მოვლენები, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ხელისუფლების რეაგირება დროული იყო. აღარ იციან, რითი გააკრიტიკონ მთავრობა. პირველ რიგში, მათ ნახეს, რომ ხელისუფლების მხრიდან ნებისმიერი აქციის დაშლა და მითუმეტეს, ასეთი აგრესიული აქციის დაშლა, მშვიდობიანად შეიძლება. საზოგადოება პარალელს ავლებს, დაინახა, რომ სულ სხვა ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე და ამან უფრო მეტად გააგიჟა ჩვენი ოპონენტები. ნამდვილად ვერ მივიღებ ბოკერიასგან და რურუასგან შენიშვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლებამ რეაგირება დააგვიანა. რა მიზეზებია ეს, როდესაც ჩვენ არ ვიყავით დაზღვეულები, რომ თუ 12 საათზე დაიწყებოდა აღნიშნული ოპერაცია, რამე მსხვერპლი არ მოჰყვებოდა და მერე რურუა და ბოკერია აგებდნენ პასუხს? ქვეყანაში განვითარებულ ყველა მოვლენაზე პასუხს აგებს ხელისუფლება, რომელიც დღეს მართავს ქვეყანას და აქედან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი მიიღო ხელისუფლებამ. არც ერთი დამწვარი მანქანა თუ ჩამსხვრეული შუშა არ ღირდა არც ერთი ჩვენი მოქალაქის სიცოცხლედ. ჩვენთან ყველაზე ღირებული ადამიანის სიცოცხლეა, განსხვავებით იმისგან, როდესაც მშვიდობიან აქციაზე ადამიანებს ხოცავდნენ და გვამებს მაღაზიების სახურავებზე ყრიდნენ. რამდენიც არ უნდა იყაყანონ, მათ ეს აღარ გამოუვათ.

„ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, რომ მთავარი გადაფაროს, ანუ ის, რომ აქციაში მონაწილეობდნენ ამ პარტიის წარმომადგენლები. ამას ადასტურებს მათთან ასოცირებული „თავისუფალი ზონა“, მათი პარტიის წევრი, რომელიც შემდეგ გარიცხეს პარტიიდან, რითიც აღიარეს მონაწილეობა ბათუმის აქციაში და ახლა ცდილობენ, დადგან ისეთი შოუ, სადაც დაადანაშაულებენ ხელისუფლებას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ხელისუფლება მოიქცა აბსოლუტურად სწორად და ამას შედეგებიც ადასტურებს.

— შესაძლოა, პრეზიდენტმა ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტს ვეტო დაადოს, თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება ეს მოხდეს?

— ვფიქრობ, რომ თუნდაც ბათუმის მოვლენებიდან გამომდინარე, პრეზიდენტმა მოსმენების შესახებ კანონპროექტს ვეტო არ უნდა დაადოს. იმ პირობებში, როგორშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა და რა წარმატებებიც გვაქვს საგარეო მიმართულებების კუთხით, მტერს მაინც არ სძინავს. თუ მტერი გყავს, სიფრთხილეა საჭირო, რაც გამოიხატება იმაში, რომ შენი თავდაცვისუნარიანობა და უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული. ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, რომ წყალი აამღვრიონ, ცეცხლი დაანთონ, ჩაწვან და ჩაბუგონ ქვეყანა, ასეთი ადამიანების გასანეიტრალებლად არსებობს უსაფრთხოების სამსახური. ათეული წლების მანძილზე ეს სამსახური იყო ვანო მერაბიშვილის დაქვემდებარებაში, ახლა სულ სხვა შემთხვევა გვაქვს. მათ საერთოდ უნდათ, რომ უშიშროების სამსახურის პარალიზება მოახდინონ. არ ვიცი, რამდენად ურევია პრეზიდენტი ამ საქმეში, მაგრამ თუ ის მთავარსარდალი და ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია, ვეტო არ უნდა დაადოს, მითუმეტეს, როცა ჩვენ სულ რაღაც ერთი კვირის წინ მაგალითი გვქონდა, თუ როგორ შეიძლება რამდენიმე ავანტიურისტმა ქვეყანაში სიტუაცია არიოს.

— იმ ფონზე, როდესაც პრეზიდენტმა საკონსტიტუციო კომისიასთან მუშაობაზე უარი განაცხადა, წამოიწყო კამპანია - „კონსტიტუცია ყველასია“ და კონსტიტუციაში შეტანან ცვლილებებთან დაკავშირებით რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

— ყველა ვთანხმდებით, რომ კონსტიტუცია შესაცვლელია, რადგან ეს არის ერთკაცზე მორგებული საოცრება, რომელშიც ძალიან ბევრი შეუსაბამობაა. დადგა დღის წესრიგში, რომ ჩვენ მივიღოთ ისეთი კანონები, რომელიც ეკადრება ცივილიზებულ ერს, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ იყოს ევროპის ერთიანი ოჯახის წევრი. შეიკრიბა ყველა შტოს წარმომადგენელი, მათ შორის იყვნენ პრეზიდენტის ინსტიტუტის წარმომადგენლები, თუმცა, პრეზიდენტმა გამოთქვა თანათავმჯდომარეობის სურვილი, რაზეც უარი მიიღო და შემდეგ გაიბუტა. ეს არ არის სახელმწიფო მიდგომა, ეს არ არის პრეზიდენტის საქციელი. თუ ჩვენ კანონიერ ქვეყანაში ვცხოვრობთ, თეთრზე შავით წერია, რომ ეს არის პარლამენტის პრეროგატივა, სადაც იქმნება საკონსტიტუციო კომისია, რომლის თავმჯდომარე გახლავთ პარლამენტის თავმჯდომარე, ჩვენ ვერც რეგლამენტს და ვერც კანონს ვერ დავარღვევდით. აღმოჩნდა ისე, რომ ყველა შტო აღმოჩნდა ამ კომისიაში, გარდა პრეზიდენტის ინსტიტუტისა, რაც ჩვენთვისაც არ იყო კარგი. ამის შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სახლის შენება ზევიდან დაიწყო. ატარებს შეხვედრებს მოსახლეობასთან, რაც, ჩემი აზრით, უფრო წინასაარჩევნო კამპანიას ჰგავს და არა კონსტიტუციის განხილვას. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის არც იმიჯსა და არც ავტორიტეტს ეს კარგად არ წაადგება.

— რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა თანხმობა მისცა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო ქვედანაყოფები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყვნენ. რა შეიძლება შეცვალოს ამან საქართველოსთან ურთიერთობაში?

— ამ შემთხვევაში ჩვენს პრეზიდენტს მოვუწონებ საქციელს, რომელმაც ბაქოში, სადაც წამყვანი ქვეყნის ლიდერების შეკრება იყო, გააკეთა ძალიან საინტერესო და მრავლისმთქმელი განცხადება და რუსეთი პირდაპირ დაადანაშაულა ანექსიაში. რაც შეეხება პუტინის ხელმოწერილ დოკუმენტს, ეს უკვე ანექსიისკენ გადადგმული მკაფიო ნაბიჯია. ეს არის ყველაზე დიდი უბედურება, რომ ამ რეალობის წინაშე ვართ. ეს ქვეყანა, ალბათ, ჩვენი ბედისწერაა. თუ რამე უბედურება დამართნია ჩვენს ქვეყანას, რუსეთისგან მოდის. მისგან ასეთი ნაბიჯები მოულოდნელი არ არის. რუსეთი ასე იქცევა არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების მიმართაც. ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად დიპლომატიაში, რადგან ჩვენი ქვეყნის ისტორია ხმალთან და ბრძოლასთან ერთად, ლავირებისა და დიპლომატიის ისტორიაა. ჩვენი წინაპარი არ ფიქრობდა, რომ შუბლით გაეტანა კედელი და ვერც ჩვენ მივცემთ ჩვენს თავს ამის გაკეთების უფლებას — განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, რომელიც ყველანაირად ცდილობდა მძინარე დათვის გაღვიძებას და 2008 წელს გააღვიძა კიდეც. მანამდე იყო ძალიან ცუდი დიპლომატიური ნაბიჯები... ეს ყველაფერი თავს იყრის და ჩვენ გვიწევს იმ საშინელებების გამოსწორება, რომელშიც ჩვენი ქვეყანა ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ჩაძირა. ძალიან ფრთხილი პოლიტიკა გვმართებს და არ შეიძლება, ისეთ ქვეყანას ებრძოლო, რომელთანაც წინასწარ დამარცხებისთვის ხარ განწირული. უნდა ვეძებოთ მფარველი, ვინც დაგვიცავს ამ დიდ ქვეყანასთან ბრძოლაში და ჩვენი პოლიტიკაც ამისკენ არის მიმართული, ამიტომაც გვინდა ევროპასთან ინტეგრაცია.

— როგორ შეაფასებთ „რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას?

— მიმაჩნია, რომ ამხელა ყურადღების ღირსი არ არის ეს ტელევიზია. სიმართლე გითხრათ, „რუსთავი-2“ ტელევიზიად საერთოდ არ მიმაჩნია. ის არის დამნაშავე საინფორმაციო საშუალება, რომელიც პასუხს აგებს იმ ყველაფერზე, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოში გააკეთა. სტრასბურგს რაც შეეხება, გვარამია და მისი მხარდამჭერები ცდილობენ, რომ წარმოაჩინონ, თითქოს უვადოდ მოხდა აღსრულების შეჩერება. იურისპრუდენციაში ასეთი ტერმინი მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ ადამიანს უვადო პატიმრობას უფარდებენ. სხვა ყველა პროცესს დამთავრება სჭირდება. საქმის არსებითი განხილვა არც მომხდარა. ახლა ჯერი უკვე სახელმწიფოზეა და იმ ტყუილებს, რაც „რუსთავი-2“-მა სტრასბურგში წარადგინა, შესაბამისი გასაბათილებელი დოკუმენტაცია სჭირდება. სტრასბურგის მწამს და ვერ დავიჯერებ, რომ ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლო დადგება არა სიმართლის, არამედ ერთი მუჭა ავანტიურისტი ადამიანების მხარეზე.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲔ

ᲠᲐ ᲔᲢᲐᲞᲖᲔᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ?

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ პროკურორი ვერ აკონკრეტებს, დაიკითხნენ თუ არა ბათუმში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები.

„ამ ფაქტზე გამოძიება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. მე ვერ დაგიკონკრეტებთ, ვისი დაკითხვა მოხდა და ვისი უნდა მოხდეს. მიმდინარეობს სრულყოფილი გამოძიება და შესაბამისად, საქმეზე დაიკითხება ყველა, ვისი დაკითხვის საჭიროებაც იარსებებს. საკმაოდ ბევრი საპროცესო მოქმედებაა ჩატარებული. არის კონკრეტული პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებული და ნაწილის მიმართ გამოყენებულია პატიმრობა, ნაწილის მიმართ კი გირაო. საქმე საკმაოდ მოცულობითია, ვინაიდან ამ არეულობაში ჩართული იყო საქართველოს ასეულობით მოქალაქე. შესაბამისად, საკმაოდ შრომატევადი საგამოძიებო მოქმედებებია ჩასატარებელი და ამ მიმართულებით გამოძიება მიმდინარეობს“, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

კიდევ ერთი წარმატება!

ამ დღეებში ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში სასიხარულო წერილი მიიღეს. უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ბ. ე. პატონის მიერ ხელმოწერილ ოფიციალურ წერილში აღნიშნულია, რომ უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, ფხვნილთა მეტალურგიის დარგში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის, მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს გიორგი თავაძეს უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უმაღლესი ჯილდო – ვ. ი. ვერნადსკის სახელობის ოქროს მედალი – მიენიჭა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს ჩვენს მეცნიერს ამ ჯილდოს და შემდგომ პროფესიულ წარმატებებს უსურვებს.



НАЦЮНАЛЬНА
АКАДЕМІЯ НАУК УКРАЇНИ

Володимирська, 54,КиТв-30, 01601, МОП.
E-таІІ: prcz@ln8.§OУ.иа. Факс: (044) 234-32-43
Телефон: канцеляр1я 234-51 -67, 259-65-94; для довщок 239-66-66, 239-64-44
Для гелеграм: КиТв, Наука. ЕДРПОУ 00019270

№ 1 /87 .....1/Л.

На Ваш № Директору

Института металлургии и
матсриаловедения
им.Ф.НЛ'авадзс ПАП Грузии
академику НАН Грузии Г'.Ф.Таиадзе

Глубокоуважаемый Гиоргий Фердинамдович!

Постановлением Президиума НАН Украины от 08.02.2017 №27 Вам за выдающиеся достижения в области научных основ порошковой металлургии присуждена высшая награда Национальной академии наук Украины - Золотая / медаль имени В.И.Вернадского,

Сердечно поздравляю Вас с высокой наградой и желаю крепкого здоровья, счастья и дальнейших успехов в работе.

С уважением,
Президент Национальной
академии наук Украины
академик НАН Украины Б.Е.Патон

ყველაზე მასშტაბური სტუდენტური პროგრამა

პროგრამა Social Impact Award-ის ფარგლებში უკვე ღიაა სააპლიკაციო ონლაინ პლატფორმა, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი სოციალური ბიზნესიდეები, პროექტის სახით წარადგინონ. აპლიკაციის წარდგენის ბოლო ვადაა 28 აპრილი.

Social Impact Award (SIA) არის ყველაზე მასშტაბური სტუდენტური პროგრამა სოციალური მეწარმეობის მიმართულებით, რომელიც 20 ქვეყანაში ხორციელდება. Impact Hub Tbilisi-სა და ევროპის ფონდის ერთობლივი ძალისხმევით, წელს პროგრამას საქართველოც უერთდება. SIA-ს პარტნიორია საქართველოს ბანკი.

საქართველოს ბანკისთვის მნიშვნელოვანია სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა, რადგან ხელი შეუწყოს საქართველოში სოციალური საწარმოების შექმნას და განვითარებას. საქართველოს ბანკი ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს და არაერთი აქტივობა განახორციელა სოციალური მეწარმეობის განვითარების კუთხით. ბანკი არის აღნიშნული პროექტის მხარდამჭერი და პარტნიორი, რადგან სტუდენტური პროგრამა Social Impact Award ძალიან კარგი შესაძლებლობაა, შეირჩეს და განხორციელდეს ახალი პროექტები, სწორედ სოციალური მეწარმეობის კუთხით.

„Impact Hub Tbilisi-ს ერთ-ერთი პრიორიტეტია სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაცია და ამ სფეროს შესახებ ცნობადობის ამაღლება საქართველოში. პროგრამის ფარგლებში გამართულ ვორქშოფებზე 200-ზე მეტმა სტუდენტმა იმუშავა საკუთარი სოციალური ბიზნესიდეის განვითარებაზე, იმედია პროგრამის შედეგად ბევრ მდგრად სოციალურ საწარმოს ვიხილავთ.“ – აღნიშნა Impact Hub Tbilisi-ს თანადამფუძნებელმა ქეთევან ებანოიძემ.

რევაზ არველაძე:

ინვესტიციებს ნებისმიერი ქვეყნიდან უნდა ველოდოთ!

ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს შესვლას ახალი ინვესტიციები და ენერგეტიკულ ბაზარზე ახალი მოთამაშეების გამოჩენა მოჰყვება. საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის რეალური კანდიდატია, რომელიც ერთიანი ენერგოსივრცის შექმნაზე მუშაობს.

ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე ამბობს, რომ საპარლამენტო რატიფიკაციის შემდეგ, როცა საქართველო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდება, ენერგეტიკული ბაზრის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია და კონკურენციის ახალი წესების დამკვიდრებაა მოსალოდნელი.

ხომ არ გართულდება რუსეთთან ურთიერთობა და რა დადებითი და უარყოფითი პროცესები მოჰყვება ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანებას?

ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი **რევაზ არველაძე** აცხადებს, რომ ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებას მინუსები თითქმის არ გააჩნია. მინუსები, რომლებიც ჩვენთვის შეიძლება ყოფილიყო იმ ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობამ, უკვე გათვალისწინებულია. მაგალითად, როდესაც შენ გაქვს თავისუფალი საშუალება, რომ მილსადენში გაატარო გაზი, მაშინ ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებს არ უნდა გადაახდევინო არაფერი. ჩვენ ასეთი მილსადენი გვაქვს ორი – რუსეთიდან რომ მიდის სომხეთში და აზერბაიჯანიდან რომ მიდის თურქეთში და შემდეგ ევროპაში უნდა წავიდეს. მართალია, ევროპული ენერგეტიკული გაერთიანების წევრებად დღეს არ ითვლებიან არც რუსეთი და არც თურქეთი, მაგრამ ხომ შეიძლება, ისინი ამ გაერთიანების წევრებად მომავალში გადაიქცნენ?! გამოდის, რომ ჩვენ უსასყიდლოდ უნდა გავუტაროთ გაზი?! ამ ხელშეკრულებაში კი ეს ხარვეზი გათვალისწინებულია და ჩვენზე არ იმოქმედებს დირექტივის ეს ნაწილი.

„ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში შესვლისას ჩვენ მოგვიწევს დირექტივების, ანუ კანონის ძალის მქონე დოკუმენტების შესრულება. ჩვენ ამ დირექტივების სინქრონიზაცია უნდა მოვახდინოთ, მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების, ენერგოეფექტურობის კუთხით. არის, ასევე, ენერგიის განახლებადი წყაროების ხელშემწყობი დირექტივაც. მთლიანობაში, დირექტივები 20-ზე მეტია, რომელიც საქართველომ 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შეასრულოს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ინვესტიციების შემოსვლასაც ხელს შეუწყობს, რადგან, როცა ევროპის ენერგეტიკული ოჯახის წევრი ხდები, ინვესტორებს აღარ უჩნდებათ შიში, რომ მათი ინვესტიციები შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს. გარდა ამისა, სატრანზიტო ფუნქციითაც დაიტვირთება საქართველო, რადგან ევროპაში უნდა გავიდეს გაზი, შაჰ დენიზის მეორე ფაზა, რომელიც 2019 წელს ამოქმედდება“, – აღნიშნა რევაზ არველაძემ და განმარტა, რომ რუსეთთან საშიშროებას არ ელის, რადგან ეს ყველაფერი რუსეთის გვერდის ავლით ხდება. უბრალოდ, რუსეთს შეიძლება ეწყინოს, რომ საქართველოში კარგი პროცესები მიმდინარეობს.

ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანება მოასწავებს თუ არა საქართველოს სრულ ენერგოდამოუკიდებლობას, ამ საკითხს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი სკეპტიკურად უყურებს. მისი თქმით, სავარაუდოდ, ჩვენი ქვეყანა სრულად ენერგოდამოუკიდებელი ვერასდროს გახდება. მართალია, საქართველოს აქვს თავისი ჰიდროენერგეტიკული რესურსები, რომლის სწორად და დროულად ამოქმედებას შეუძლია, საქართველო ელექტროენერგეტიკულად წინ წასწიოს, მაგრამ ბუნებრივი გაზი არ გაგვაჩნია და სრულად შემოდის იმპორტით. ღმერთმა ქნას, თუ აღმოვაჩენთ და მოვიპოვებთ ნავთობპროდუქტებს – ბენზინს, დიზელს, მაშინ სხვა ამბავია. ამ ეტაპზე კი ეს რესურსები სრულად შემოგვაქვს იმპორტით.

აქედან გამომდინარე, ევროპულ ენერგეტიკულ გაერთიანებაში შესვლა ენერგოდამოუკიდებლობის თვალსაზრისით სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენს, მაგრამ, თუ საფრთხე დაემუქრება ისეთი ენერგიაშემცველების მოწოდებას საქართველოსთვის, როგორიცაა ბუნებრივი გაზი, ბენზინი, დიზელი და სხვა, მაშინ ევროპული გაერთიანებაც და აშშ-ც ამ მიმართულებით დახმარებას აღმოგვიჩენს. მით უმეტეს, რომ ევროკავშირსა და აშშ-ს შორის მჭიდრო ურთიერთობაა ენერგეტიკის საკითხებში.

თუ რომელი ქვეყნიდან ელის ინვესტიციებს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს შესვლის შემდეგ, ენერგეტიკოსი აცხადებს, რომ ინვესტიციებს ნებისმიერი ქვეყნიდან უნდა ველოდოთ.

„უცხოური კომპანიები უთუოდ დაინტერესდებიან იმით, რომ საქართველოში ჰქონდეთ ბიზნესი ენერგეტიკის სფეროში. ჩემი აზრით, ძირითადად მაინც ჰიდროელექტროსადგურების მიმართ გამოხატავენ ინტერესს, რომლის დიდი პოტენციალი გაგვაჩნია. შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით 30 მილიარდი კილოვატსაათის დარჩენილი პოტენციალი აუთვისებელია. 30 მილიარდი კილოვატსაათი კი დაახლოებით 6 ათასი მეგავატია, ანუ სადღაც 10-12 მილიარდი დოლარის ინვესტიცია. ცხადია, გამოჩნდებიან დიდი ფულის მქონე ქვეყნები და კომპანიები. ასეთი ქვეყნების რიცხვს, პირველ რიგში, მიეკუთვნება ჩინეთი, ასევეა, ინდოეთიც. თქვენ იცით, რომ ინდურ კომპანიას აქვს აღებული ხუდონჰესი. ასევე, ინტერესდებიან სამხრეთ კორეული კომპანიები. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოს ამ სექტორის მიმართ დიდი დაინტერესება ჰქონდათ გერმანულ კომპანიებს. შეერთებული შტატების კომპანიები კი შემოსული იყვნენ ნავთობის ძებნა-ძიების მიმართულებით. ეს ისეთი სფეროა, რომ ნებისმიერი ძლიერი კომპანია შეიძლება დაინტერესდეს აქ შემოსვლით“.

მანანა ნოზაძე

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ახალი საკვლევი ლაბორატორია აჭარაში

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ლაბორატორიული კვლევით ცენტრში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ახალი საკვლევი ლაბორატორია გაიხსნა, რომელიც დღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ სოფლის მეურნეობის მინისტრთან ლაშა კომახიძესთან ერთად დაათვალიერა.

ლაბორატორიაში შეძენილია თანამედროვე ტიპის სხვადასხვა დანიშნულების საკვლევი აპარატურა გაზის ქრომატოგრაფი ტანდემური მასსპექტრომეტრით, სამმაგი კვადრუპოლის ტიპის (GC-MS/MS), რომელიც სასურსათო პროდუქტებში და სასმელ წყალში პესტიციდების ნარჩენი აქტივობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული დანადგარებით, შესაძლებელია სასურსათო პროდუქტში, სარგავ-სათესლე მასალაში და ცხოველთა საკვებში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველობის განსაზღვრა, სასოფლო-სამეურნეო კულტურებში ვირუსული და სოკოვანი დაავადებების დიგნოსტიკა.

ახალი აპარატურა ხელს შეუწყობს ადამიანის საკვები პროდუქტების კვლევას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვას, ქართული წარმოების პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდას.

„ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი 2016 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 924 000 ლარით დაფინანსდა. სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ საგამოცდო ლაბორატორიამ აკრედიტაცია ISO 7025-ის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად გაიარა და დღეისათვის საქართველოში ლაბორატორიული გამოკვლევების ყველაზე ფართო სფეროთია წარმოდგენილი. ასევე, სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს“ მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სერტიფიკატი.

ვის დარჩება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი

აზერბაიჯანული გამოცემა „ეხო“ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სადავო ნაწილის შესახებ ჟურნალისტ ელინა რუსტამოვას სტატიას აქვეყნებს.

საქართველოსა და აზერბაიჯანს, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის თაობაზე, კომპრომისულ გადაწყვეტილებაზე შეთანხმება შეუძლიათ. მოლაპარაკება, რომელიც 2017 წლის განმავლობაში გაიმართება, ალბათ, დადებით შედეგებს გამოიღებს, — განუცხადა „ეხოს“ კორესპონდენტს სამხედრო ექსპერტმა უზეირ ჯაფაროვმა. **„საქართველო აცნობიერებს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მონასტრის ზონას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, იურიდიული თვალსაზრისით, აზერბაიჯანს უფრო მეტი უფლება აქვს დავით გარეჯზე, ვიდრე საქართველოს“,** — აღნიშნა ექსპერტმა.

ორ ქვეყანას შორის საზღვრის გარკვევა ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო. სადავო ისტორიული ობიექტების, მაგალითად, ისეთების, როგორიცაა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, საზღვრის დელიმიტაციის პროცესი 2007 წელს ჩიხში შევიდა.

ქართულ-აზერბაიჯანული საზღვრის საერთო სიგრძე 480 კილომეტრია. მკითხველებს იმასაც შევახსენებთ, რომ შარშან საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ მათ მიმდინარე წელს საზღვრის დელიმიტაციის დასრულება აქვთ განზრახული.

„აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არასდროს მწვავე დავა არ ყოფილა, მათ შორის ტერიტორიულ საკითხებზეც, გარდა ქეშიშ-დაღის მონაკვეთისა, რომელსაც საქართველოში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს უწოდებენ. ორივე მხარისათვის ეს საკითხი ისეთ დიდ პრობლემად არ ითვლება, როგორც ჩვენს არაკეთილმსურველებს წარმოუდგენიათ. 25 წლის განმავლობაში აზერბაიჯანსა და საქართველოს ერთმანეთთან თბილი და კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდიდან მოყოლებული, აზერბაიჯანის მთავრობა საქართველოსთან მჭიდრო კავშირებს ავითარებს. დღესაც ხშირად ვისმენთ თბილ სიტყვებს ქართველი პოლიტიკოსებისაგან და ექსპერტ-პოლიტოლოგებისაგან, საზოგადო მოღვაწეებისაგან“, — თქვა უზეირ ჯაფაროვმა.

რამდენიმე წლის წინათ იყო განსაზღვრული მომენტი, როცა ქეშიშ-დაღის გაყოფასთან დაკავშირებით სიტუაცია დაიძაბა. ჩვენი მტრები ცდილობდნენ ცეცხლზე ნავთი დაესხათ და აზერბაიჯანელები და ქართველები ერთმანეთთან წაეჩხუბებინათ, მაგრამ მათ არ გამოუვიდათ, ჩვენი კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდა. ამჟამად ჩვენ ერთმანეთთან ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში ვთანამშრომლობთ. ბაქო და თბილისი ერთმანეთს მხარს უჭერენ საერთაშორისო არენაზეც, მათ შორის, ტერიტორიულ საკითხებშიც. ჩვენი ქვეყნები ხომ სეპარატიზმისაგან დაზარალებული არიან“, — ამბობს ექსპერტი.

როგორც უზეირ ჯაფაროვმა აღნიშნა, მოლაპარაკების დროს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ორ მეზობელ ქვეყანას — აზერბაიჯან-საქართველოს შორის „განხეთქილების ვაშლად“ არ იქცევა: **„საქართველო დაეთანხმება იმას, რომ დავით გარეჯის მიმართ აზერბაიჯანს უფრო მეტი მორალურ-იურიდიული უფლებები აქვს. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნისთვის კომპლექსის მიმდებარე ზონა სტრატეგიულ სიმაღლეებად ითვლება და, აქედან გამომდინარე, ჩვენ უარს ვერ ვიტყვით მის მფლობელობაზე. ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას ქართულ ან სომხურ მიწებზე, მაგრამ საკუთარს არავის არ დავუთმობთ. ვფიქრობ, საქართველო და აზერბაიჯანი შეძლებენ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღწევას და 2017 წელს დაგეგმილი მოლაპარაკება დადებით შედეგებს მოგვცემს“,** — აღნიშნა ექსპერტმა.

თავის მხრივ, პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელმა მუბარიზ აჰმედოღლუმ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აზერბაიჯან-რუსეთის საზღვრის დელიმიტაციის პროცესი უფრო მშვიდად მიმდინარეობს, ვიდრე აზერბაიჯან-საქართველოს შორის: **„ამჟამად ჩვენ ჯერჯერობით ტერიტორიული საკითხები რუსეთთან და საქართველოსთან ბოლომდე მოგვარებული არ გვაქვს. მაგრამ რუსეთისაგან განსხვავებით, რომელთანაც აზერბაიჯანის მთავრობამ ასე თუ ისე მოახერხა ბევრი სადავო საკითხის გადაჭრა, საქართველოსთან ქეშიშ-დაღის პრობლემა კვლავ ღიად რჩება. ბოლო დროს არანაირი თვალსაჩინო შედეგი არ არის მიღწეული, თუმცა მხარეთა მიერ მიმდინარეობს საფუძვლიანი ანალიზი, ერთმანეთის პოზიციების დაახლოების მიზნით. ქართული მხარე დავით გარეჯის შესანარჩუნებლად აზერბაიჯანს თავისი ტერიტორიის ნაწილს სთავაზობს, მაგრამ ჩვენი მთავრობა ამ პირობაზე არ თანხმდება, რადგან საკითხი ეხება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ზონას და ისტორიულ მემკვიდრეობას“,** — ამბობს მუბარიზ აჰმედოღლუ.

ექსპერტის თქმით, საქართველოს როგორც ქრისტიანული სახელმწიფოს, თავიდანვე არ უნდა დაეყენებინა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გაყოფის საკითხი: **„ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყო მომენტი, როცა მოსახლეობის ნაწილს ზოროასტრიზმი სწამდა, მეორე ნაწილს კი — ქრისტიანობა. განა ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ იმ ისტორიულ ობიექტზე, რომელიც მოწმობს, რომ ქრისტიანობის ისტორია აზერბაიჯანსაც ეხება? ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ისედაც მცირე რაოდენობის ქრისტიანული ძეგლებია შემორჩენილი, რომლებთაც აზერბაიჯანის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ“,** — აღნიშნა პოლიტოლოგმა.

„უფრო სწორი იქნება, თუ საქართველო თავის პრეტენზიებს უკან წაიღებს და ამით აჩვენებს, თუ როგორ პატივს სცემს აზერბაიჯანში ქრისტიანობის ჩასახვის ისტორიას. რა თქმა უნდა, მოლაპარაკება ყველა შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოლაპარაკებას პოლიტიკური შეფერილობა არ მიეცეს და სიტუაცია კონფლიქტამდე არ მივიდეს“, — ხაზი გაუსვა მუბარიზ აჰმედოღლუმ.

„echo.az“(აზერბაიჯანი)
მოგვაწოდა „ნიუსპრესმა“

გიორგი მღებრიშვილი ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს შეხვდა

საქართველოს **შინაგან საქმეთა მინისტრი ბელგიის სამეფოში პირველი სამუშაო ვიზიტით იმყოფება. გიორგი მღებრიშვილი ბრიუსელში ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს როუზ გოტემიულერს შეხვდა. შეხვედრას ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიც ესწრებოდა.**

შს მინისტრმა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (NATO) თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს შს სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებსა და მიმდინარე წლის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრა, როგორიცაა: სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზება და სახელმწიფო საზღვრის დაცვის უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა; ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის სრულყოფილი ფუნქციონირება; უწყების ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით სამინისტროში ადამიანური რესურსების რეფორმის გატარება; კანონის უზენაესობისა და პოლიციის რეფორმის ფარგლებში, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელის დანერგვა; საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ინიციატივის შემდგომი განვითარება; საქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს რეფორმირება და ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვა; საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავება; კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

გიორგი მღებრიშვილი ბელგიის სამეფოში გაემგზავრა

ბრიუსელში **ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შს მინისტრი ბელგიის სამეფოს ვიცე-პრემიერს, უსაფრთხოებისა და შინაგან საქმეთა მინისტრს ჟან ჟამბონს, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ გოტემიულერს, ევროკომისარს მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში დიმიტრის ავრამოპულოსს, ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარს იოჰანეს ჰანს და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება.**

გიორგი მღებრიშვილი ასევე სიტყვით გამოვა „ევროპის პოლიტიკის ცენტრში“ გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ევროკომისიის, საელჩოების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან.

ყველა საუბარი ე.წ. ჩადებებზე მოგონილია!

შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი პრეზიდენტის სიძის მეგობრის დაკავების ფაქტს ბრიუსელიდან ეხმაურება. ჟურნალისტების კითხვაზე, რას ფიქრობს მინისტრი ე.წ. წამლის ჩადების ვერსიაზე და ანა მარგველაშვილის მიერ გავრცელებულ ვიდეოზე, მინისტრი პასუხობს, რომ საუბარი ე.წ. ჩადებებზე მოგონილი ამბავია.

„ნებისმიერ შემთხვევაში, მე სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, რომ არავინ არაფერს არ უდებს. ყველა ეს განცხადება ე.წ. ჩადებებთან დაკავშირებით ემსახურება იმას, რომ უნდათ მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. არავის შვილობა, არავის პროფესია, არ არსებობს ამ საკითხში ინდულგენცია, ის ფაქტები, რაც სახეზე გვაქვს, ეს არის რეალური ფაქტები და ყველა საუბარი ე.წ. ჩადებებზე მოგონილია“, — განაცხადა შს მინისტრმა.

დავით ზალკალიანი ევრაზიის ცენტრის დირექტორს, ელჩ ჯონ ჰერბსტს შეხვდა

საგარეო **საქმეთა სამინისტროში გაიმართა შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე დავით ზალკალიანსა და აშშ-ის კვლევითი ორგანიზაციის „ატლანტიკური საბჭოს“ დინუ პატრიციუს ევრაზიის ცენტრის დირექტორ, ელჩ ჯონ ჰერბსტს შორის.**

შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული წარმატებული ორმხრივი სტრატეგიული ურთიერთობები და მათი კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივები. საუბრისას აღინიშნა, რომ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა დღესდღეობით ძალზე აქტიურ ფაზაშია, რაზეც მეტყველებს საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიითა და დატვირთული ორმხრივი დღის წესრიგით განსაზღვრული სტრატეგიული ურთიერთობების განვითარება. დავით ზალკალიანმა სტუმარს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს მთავრობის მიერ აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან წარმატებული პირველი კონტაქტების დამყარების შესახებ. მხარეების მიერ აღინიშნა ამერიკის შეერთებულ შტატებში საგარეო საქმეთა მინისტრის მიმდინარე ვიზიტი, ასევე, ყურადღება გამახვილდა აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან საქართველოს მხარდამჭერ გზავნილებზე.

მხარეებმა ასევე, მიმოიხილეს ქართული მხარის აქტიური ურთიერთობები „ატლანტიკურ საბჭოსთან“, როგორც აშშ-ის ერთ-ერთ წამყვან კვლევით ორგანიზაციასთან, და შეთანხმდნენ ამ წარმატებული თანამშრომლობის სამომავლოდ გაგრძელებაზე.

◎ პატარა საქართველოს დიდი პრობლემები

რელიგია, როგორც „რბილი ძალა“ და პოლიტიკის ინსტრუმენტი სამხრეთ კავკასიაში

როგორ იყენებენ რელიგიას, როგორც „რბილ ძალას“ რუსეთი, თურქეთი და ირანი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ და რა ეფექტს ახდენს ეს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაზე საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას 18 მკვლევარი ცხრა ქვეყნიდან, თბილისში, საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში შეეცადა: „რელიგია და რბილი ძალა სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ - ასე ეწოდებოდა კონფერენციას, რომელიც შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SNSF) დაფინანსებითა და ფრიბურგის უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა.

მკვლევარებმა თბილისში წარმოადგინეს ნაშრომები, რომელზეც სამწლიანი პროექტის ფარგლებში მუშაობდნენ, მათ შორის — „მართლმადიდებლობა, როგორც რბილი ძალა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში“; „ისლამი და თურქეთის რბილი ძალა აზერბაიჯანში და ფეთჰულაჰ გიულენის მოძრაობა“; „რელიგია, როგორც ფაქტორი, ქურთული იდენტობის დისკურსში სომხეთსა და თურქეთს შორის“ და „რუსეთის რბილი ძალა იდეოლოგიასა და პოლიტიკას შორის“.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი კორნელი კაკაჩია ამბობს, რომ რეგიონის სამი დიდი მოთამაშისგან მომდინარე „რბილი ძალის“ პოლიტიკას, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში აღქმაც და ეფექტიც განსხვავებული აქვს:

„სომხებისთვის რუსული რბილი ძალა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს და მას საფრთხედ არ განიხილავენ, მაშინ როცა საქართველოსთვის ეს პრობლემატური საკითხია. კონფერენციაზე გამოიკვეთა, რომ ეს პრობლემა კიდევ უფრო შეიძლება დამძიმდეს, თუ კი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში წმინდა პრორუსული მიმართულების დაჯგუფება გამოიკვეთება. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან, რომელიც არის რუსეთის სახელმწიფოს „რბილი ძალა“, გარკვეული გავლენა საქართველოს ეკლესიაზე, რა თქმა უნდა, არის, თუმცა, ასევე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს ყოველთვის ასე არაა. კვლევამაც აჩვენა, რომ ქართულ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორისაც არის ე.წ „წითელი ხაზები“, რაც ძირითადად ეხება ოკუპირებული ტერიტორიების საკითხებს, ანუ მათ შორის აბსოლუტური იდილია არ არის“.

სამხრეთ კავკასიაში თურქეთის, ირანისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკურ და რელიგიურ მიმართულებებზე კონფერენციის ფარგლებში საკუთარი ხედვა წარმოადგინეს: სტამბოლის ცივილიზაციის უნივერსიტეტის პროფესორმა სულეიმან ენიკმა, ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორმა ანდრეი მაკარიჩევმა და ვარშავის უნივერსიტეტის მკვლევარმა ჰამიდ კაზემზადემ.

ირანელმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედ ირანულ რელიგიურ ფონდებს უფრო მეტი კავშირი აქვთ ირანის და ახლო აღმოსავლეთში მოქმედ შიიტურ ორგანიზაციებთან, ვიდრე ირანის მთავრობასთან. ამასთან დაკავშირებით კორნელი კაკაჩია ამბობს: **„ირანს შეზღუდული აქვს ჩვენთან რბილი ძალის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა. პოტენციურად სულ რამდენიმე რეგიონია, სადაც თეირანს გარკვეული გავლენა გააჩნია. როგორც კვლევებმა აჩვენა, ძირითადად ეს არის ქვემო ქართლის რეგიონი. იქაც საკმაოდ შეზღუდულია იმიტომ, რომ მათ ჰყავთ ძლიერი მეტოქე თურქეთის სახით, რომელიც ასევე ცდილობს ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიაზე გარკვეული გავლენა იქონიოს. რაც შეეხება თურქეთის გავლენას, სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაცია ცდილობს, იმავე საქართველოში და აზერბაიჯანში ფეხი მოიკიდოს, სომხეთში გასაგები მიზეზებით ამის შესაძლებლობა მათ არ აქვთ. ამ კონტექსტში, ეს თურქმა მკვლევარმაც აღნიშნა, თურქეთის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ფეთჰულაჰ გიულენის მოძრაობა ატარებს აგრესიულ პოლიტიკას და თითქოს, ისინი არიან შეფარული, რადიკალური ორგანიზაციები, რომლებმაც შეიძლება თურქეთთან ერთად პრობლემა მეზობელ სახელმწიფოებსაც შეუქმნას. თუმცა, თუ დავაკვირდებით, საქართველოსა და აზერბაიჯანში ფეთჰულაჰ გიულენის მოძრაობისა და, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო ქსელის მუშაობას და მოსახლეობის მხრიდან შეფასებას, აქ სრულიად საწინააღმდეგო აზრები გვხვდება“.**

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) ინიციატივით, სამწლიანი პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევების ნაწილი, პოლიტიკის დოკუმენტების კრებულის სახით უკვე გამოიცა. სპეციალურად აკადემიური წრეებისთვის კი მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი სამეცნიერო გამომცემლობა, ბრიტანული Routledge, 2017 წლის ბოლოს გამოუშვებს წიგნს იმავე სახელმწოდებით — „რელიგია და რბილი ძალა სამხრეთ კავკასიის რეგიონში“, ფრაიბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ანსგარ იოდიკეს ავტორობით.

„Radio Voice of America“ (აშშ)

ევროსასამართლომ რელიგიური სიმბოლოების ტარების აკრძალვის ნება გასცა

ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანიებს შეუძლიათ, საკუთარ ისლამისტ თანამშრომლებს აუკრძალონ ისლამური თავსაბურავისა და სხვა რელიგიური სიმბოლოების ტარება.

როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, ცალკეული ორგანიზაციის თუ კომპანიის შიდა განაწესი, რომელიც კრძალავს პოლიტიკური, ფილოსოფიური ან რელიგიური სიმბოლოების ტარებას, არ წარმოადგენს უშუალო დისკრიმინაციას.

დამსაქმებელს შეუძლია გაითვალისწინოს კლიენტის თხოვნა, რომელსაც არ სურს, მოემსახუროს ისლამური თავსაბურავის მქონე თანამშრომელი.

ევროკავშირის სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ორი დასაქმებული მუსლიმანი ქალის მიერ შეტანილი სარჩელი. ეს ადამიანები ბელგიისა და საფრანგეთის კომპანიებიდან სწორედ იმის გამო დაითხოვეს, რომ მათ თავსაბურავის ტარებაზე უარი არ განაცხადეს.

ორგანიზაცია „საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობები და ახალგაზრდა თურქოლოგთა ასოციაციის“ თავმჯდომარე რომან კვიციანი ევროკავშირის სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას დისკრიმინაციის ნიშნების მქონედ მიიჩნევს. მისი თქმით, ჯერ კიდევ თურქეთის კანონში ჩადებული იყო, რომ ნებისმიერ პირს ეკრძალებოდა სახელმწიფო სტრუქტურაში ისლამური სიმბოლიკით მუშაობა, რაც ახლანდელმა მთავრობამ, ერდოღანის მეთაურობით შეცვალა და ეს განაწესი კანონიდან სწორედ დისკრიმინაციის გამო ამოიღეს. სხვათა შორის, ევროკავშირიდანაც იყო მსგავსი მოთხოვნა, რომ ეს დისკრიმინაციული მუხლი ამოეღო თურქეთს კანონიდან. ამდენად, გაუგებარია, თავად ევროკავშირის სასამართლო რატომ იღებს ასეთ კანონს?! ადამიანს ხომ აქვს უფლება, ატაროს ის სიმბოლიკა, რაც მას სურს?!

„ანალოგიურად ნებისმიერ ისლამურ სახელმწიფოს შეუძლია, ჯვრის ტარება და ჯვრის გამოსახულების მქონე საგნები აკრძალოს. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ყოფაში ჯვარს იკეთებენ სვირინგად, საყურედ, ბეჭდად. ასეთი აკრძალვები არა მარტო პიროვნებას, არამედ სახელმწიფოებსაც შეუქმნის პრობლემას. რა თქმა უნდა, ევროკავშირის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება შეიძლება შიშითაც იყოს ნაკარნახევი, რადგან მრავლად არის ტერორისტული შემთხვევები, სადაც რელიგიური ნიშანი გადამწყვეტია.

შესაბამისად, როცა ევროპელს ემსახურება ისლამის წარმომადგენელი ან რომელიმე სხვა აღმსარებლობის მქონე პიროვნება, მას უჩნდება შიში, რომ ისლამისტმა არაფერი დაუშავოს. ჩვეულებრივად, ეს ადამიანის თავდაცვითი რეაქციაა. ამიტომ შეიძლება, შიშის ფაქტორი კონკრეტულმა კომპანიამ გაითვალისწინოს და კლიენტს სულ სხვა მომსახურე პერსონალი მიუჩინოს, ანუ განსხვავებულ პოზიციაზე გადაიყვანოს თავსაბურავიანი მოსამსახურე. თუმცა ის, რომ კომპანიებში აიკრძალოს მსგავსი სიმბოლიკის ტარება, არ უნდა იყოს განმსაზღვრელი ფაქტორი“, — აცხადებს რომან კვიციანი და საფრანგეთის მაგალითსაც იხსენებს, როცა ჰიჯაბის (მუსლიმანი ქალის თავსაბურავი, მოკრძალებით ჩაცმის ატრიბუტი) აკრძალვამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. თუმცა ეს მოხდა კონკრეტულად საფრანგეთში, ანუ ერთ ქვეყანაში, ახლა კი ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება მასშტაბურ ხასიათს მიიღებს.

შესაბამისად, რომელი სახელმწიფოც აღიარებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს, მას ვალდებულება ექნება, შეასრულოს ამ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ეს კი მთლიანად ევროსამყაროში შექმნის პრობლემებს. ამიერიდან ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია უჩივლოს თავის თანამშრომელს, რომელთანაც პირადული შუღლი ექნება და გააგდოს სამსახურიდან სწორედ ისლამური სიმბოლიკის მომიზეზებით. ეს სერიოზულ პრობლემებს წარმოქმნის ევროპაში. ასე რომ, ხიფათს თავად ეს კანონი შეუქმნის დასავლეთის ქვეყნებს.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი ტარიელ ფუტკარაძე აცხადებს, რომ ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივს სცემს, მაგრამ ამ თემის განხილვა უნდა მოხდეს საქართველოს კონტექსტში. ქართველობა კი ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტულობით.

მანვე განმარტა, რომ ევროკავშირის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის ლიბერალური და დემოკრატიული, მაგრამ ეს ევროპელებისთვის ერთგვარი თავდაცვის მექანიზმია.

მანანა ნოზაძე

მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა ნორვეგიაა

მსოფლიო ბედნიერების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. თარიღი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2012 წელს დააწესა. მას შემდეგ გაერო ბედნიერი ქვეყნების სიას აქვეყნებს. 155-ქვეყნიან რეიტინგში წელს ნორვეგია ლიდერობს, მეორე ადგილზე დანიაა, მესამე პოზიციას კი ისლანდია იკავებს. ბედნიერების კოეფიციენტს გაეროს ექსპერტები რამდენიმე კრიტერიუმით განსაზღვრავენ. მათ შორისაა ერთმანეთზე ზრუნვა, თავისუფლება, კეთილშობილება, პატიოსნება, ჯანმრთელობა და ფინანსური უზრუნველყოფა. რეიტინგში წელს საქართველო 125-ე ადგილს იკავებს.

პერუში სასმელი წყლის დეფიციტია

სტიქიური უბედურების შედეგად ქვეყანა სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის. დედაქალაქის მცხოვრებლებს სიცოცხლისთვის აუცილებელი მარაგიც არა აქვთ. წყალდიდობას და მეწყერს პერუში 75 ადამიანი ემსხვერპლა, 100 ათასზე მეტი კი უსახლკაროდ დარჩა.

ჩინეთი არმიას ამცირებს

გავრცელებული ინფორმაციით, წლის ბოლომდე არმიის შემადგენლობა 200 ათასი სამხედრო მოსამსხურით შემცირდება, თუმცა პირადი შემადგენლობის ნაწილი შესაძლოა, სამხედრო-სარაკეტო ძალებში გადაიყვანონ. დღეისათვის ჩინეთის არმიის შემადგენლობაში 2 მილიონამდე სამხედრო მოსამსახურე ირიცხება.

ტრამპის რეიტინგი ეცემა

საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის, „გელაპის“ მონაცემებით, თუ პრეზიდენტს გასულ კვირას მოსახლეობის 45 პროცენტი უჭერდა მხარს, კვირის დასაწყისში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა და დღეისათვის 37 პროცენტს შეადგენს. „გელაპის“ ინსტიტუტის მონაცემებით, თეთრი სახლის ლიდერის პოლიტიკით უკმაყოფილოთა რიცხვი 58 პროცენტამდე გაიზარდა. კვლევის ფარგლებში სულ 1500 ადამიანი გამოიკითხა.

საგანგებო სამსახურების საიდუმლოებანი

შეცოცხლება და მათი ქალბატონები

მას შემდეგ 55 წელზე მეტი დრო გავიდა, რაც 1962 წლის იანვრის მიწურულს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ხელი მოაწერა საბჭოთა მზვერავის რუდოლფ აბელის გათავისუფლებას.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, ბერლინში გლინკეს ხიდზე, რომელიც გერმანიის დედაქალაქის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს აერთებს, რუდოლფ აბელი 1960 წლის 1 მაისს ურალის მთებს თავზე ჩამოგდებული ამერიკული მზვერავი თვითმფრინავის მფრინავ პაუერსში გაცვალეს.

მოგვიანებით ამ ხიდს „ჯაშუშურიც“ კი უწოდეს იმის გამო, რომ დაპატიმრებულ არალეგალ მზვერავთა გაცვლები იქ რეგულარულად ხდებოდა. მაგალითად, ორი წლის შემდეგ იქვე საბჭოთა ჯაშუში კონონ მოლოდი ბრიტანელ მზვერავში გაცვალეს.

სპეცსამსახურთა ექსპერტების მტკიცებით, არალეგალ მზვერავთა წარმოება და გამოყენება ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასე ვთქვათ, „კონვეიერული სისტემით“ ხდებოდა. მათი ოფიციალური „სახურავი-ნიღაბი“ საელჩოების თანამშრომლების, სავაჭრო, კულტურულ და მსგავს დაწესებულებათა თანამშრომლობა იყო, თუმცა კი ეს ყოველთვის ხელს არ აძლევდათ, იმის მიუხედავადაც კი, რომ დიპლომატიურ იმუნიტეტს იძლეოდა. ეს კი, თავის მხრივ, ჩავარდნის შემთხვევაში ციხეში მოხვედრისგან საიმედო დაცვა იყო, მაგრამ, სწორედ ამის გამო, თავისუფალი მანევრის ნაკლებ საშუალებას იძლეოდა, ვინაიდან დიპლომატები თვალთვალის მუდმივი ობიექტები იყვნენ.

არალეგალ მზვერავთა სამჭედლო მოსკოვის განაპირას ოთხმეტრიანი ღობითა და ზედ ეკლიანი მავთულხლართით შემოვლებულ შენობათა კომპლექსში იყო განთავსებული, რომელსაც გარედან გახუნებული აბრა ამშვენებდა: „სპეციალიზებული ფსიქიატრიული საავადმყოფო №47“. აღსანიშნავია, რომ იქ საქმის ნამდვილი პროფესიონალები მუშაობდნენ, მზვერავთა ლეგენდების ყველა წვრილმანს გულდასმით ითვალისწინებდნენ. კერძოდ, იყო ასეთი შემთხვევა, რომ ერთ-ერთი საბჭოური არალეგალი მზვერავი, რომელიც თურქი ბიზნესმენის ამპლუაში მოღვაწეობდა, რომელიღაც ევროპული ქვეყნის სპეცსამსახურის ყურადღების ცენტრში მოექცა და მისი ფარულად შემოწმება გადაწყვიტეს, ვინაიდან ეჭვები დოკუმენტურად გამყარებული არ იყო. ამ სპეცსამსახურის აგენტმა საბჭოელ მზვერავს შესჩივლა, რომ რამდენიმე წლის წინათ, მამამისის თურქეთში ცნობილი, მაგრამ იმ დროისთვის გარდაცვლილი პოლიტიკური მოღვაწის ვილაში სტუმრობისას კიბეზე ფეხი წამოკრა და დაცემას და მოტეხვას ძლივს გადარჩა. „ო, თქვენ ალბათ კიბის მესამე საფეხურმა გიმტყუნათ, ის ჩვენ სახლში იმ დროს მართლაც შესაკეთებელი იყო! ბოდიშს გიხდით ამის გამო!“ — მყისვე უპასუხა საბჭოელმა აგენტმა. ამის შემდეგ მას თავი დაანებეს, რადგან ყველაფერი სიმართლეს შეესაბამებოდა...

აკი აღვნიშნეთ, რომ ჯაშუშების ლეგენდების ყველა წვრილმანს საგულდაგულოდ ითვალისწინებდნენ, გარდა სექსუალურისა. არადა ეს ძალიან სერიოზული საკითხი იყო, ვინაიდან არალეგალი მზვერავი ცოლს, უკეთეს შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ თუ ხედავდა. ამ დროს ვითარებას კიდევ ისიც ართულებს, რომ ირგვლივ უამრავი მომხიბლავი ქალია, მზვერავი კი ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე 35-45 წლის მამაკაცია! ხოლო მამაკაცი კი, რომელიც ქალების მიმართ ყურადღებას არ იჩენს, იმავითვე ჭორების საგანი ხდება — მაშასადამე გეია! ხალხში ასე გამორჩევა კი დაუშვებელია. ამიტომაც იყო, რომ საკუთარ სექსუალურ პრობლემებს ყველა თავად, ცენტრის კურატორებისგან ფარულად, უმეტესად ერთი და იგივე სქემით წყვეტდა. სხვათა შორის ის თავის დროზე დამწყებ მზვერავებს ლეგენდარულმა რუდოლფ აბელმა ურჩია, რომელიც მას თვითონაც იყენებდა, რესპექტაბელური ნიუ-იორკული ფოტოატელიეს მეპატრონე ემილ ჰოლდფუსიც, ლონდონელი მეწარმის ნიღაბს ამოფარებული კონონ მოლოდიც და სხვა არალეგალი მზვერავებიც. ისინი განქორწინებულ, ცოლქმრულ ცხოვრებაზე გულაცრუებულ ქალებს ირჩევდნენ, რომლებიც მცირედითაც — პატარ-პატარა საჩუქრებით, იაფიან რესტორნებში იშვიათი ვახშმებითა და ასეთივე იშვიათი სექსუალური ურთიერთობებით კმაყოფილდებოდნენ. მთელი სიყვარული კი სულ ორი-სამი პაემანი გრძელდებოდა ხოლმე...

— ეს ასე იმიტომ ხდებოდა, — უხსნიდა მოგვიანებით რუდოლფ აბელი საბჭოური სუკის „c“ სამმართველოს კურსების მსმენელებს, რომელიც არალეგალ მზვერავებს ამზადებდა, — რომ მესამე შეხვედრის შემდეგ იმის არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ თქვენს პარტნიორ ქალს არ შეუყვარდებით. ამ შემთხვევაში კი მან შეიძლება დაიქირაოს კერძო დეტექტივები, რომლებიც თვალთვალს დაგიწყებენ. ასეთი დეტექტივები კი დასავლეთში თითქმის ყველანი ან პოლიციის, ანდა სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლები არიან, რომლებსაც ისეთი რამეების გამოჩხრეკა შეუძლიათ, რომ კაცი საყვარლის ლოგინიდან შეიძლება პირდაპირ კონტრდაზვერვის საკანში აღმოჩნდეს.

ხოლო თუკი იგრძნობთ, რომ ქალი თავად შეგიყვარდათ, იმწამსვე ბოლო დაუდეთ ან არალეგალურ დაზვერვას ანდა სიყვარულს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი...

ასეთი რამ კანადაში არალეგალ მზვერავ ლამბერტ ოლშანსკის დაემართა, რომელიც დასავლურმა ცხოვრებამ ჩაითრია. იგი თავის კანონიერ მეუღლეს დაშორდა და ახალგაზრდა კანადელ ქალთან დაიწყო ცხოვრება, რომელიც ისე შეუყვარდა, რომ ერთხელ გული გადაუშალა: „ძვირფასო, მე რუსი მზვერავი ვარ!“ გაოგნებულმა ქალმა ეს ამბავი მამას გაანდო, რომელმაც თავისი პატრიოტული ვალი მოიხადა და ყველაფერი სადაც ჯერ არს, მოახსენა...

თუმცა, ეს არ არის ერთეული შემთხვევა, როცა ჯაშუშს თავისივე ახლობლები გასცემენ. ასე რუსეთელი სუპერაგენტი, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს პოლკოვნიკი, გაყრით განაწყენებულმა მისმა ცოლმა გასცა.

— მაგრამ, თუკი თქვენი უკიდეგანო სიყვარულის თაობაზე ცენტრის ჩინოსნებმა შეიტყვეს, — განაგრძობდა აბელი, — მაშინ თქვენს მზვერავის კარიერას წერტილი დაესმება, რადგან პოტენციურ მოღალატედ მიგიჩნევენ. და, პრინციპში, მართლებიც იქნებიან. ამდენად, საბოლოო ანგარიშით გამოდის ჩაკეტილი წრე, რომელშიც თავს თავადვე მოიმწყვდევთ, მისი გარღვევა კი მხოლოდ საფეთქელში ტყვიის დახლით თუ შეიძლება...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ამერიკელი დიპლომატის ტელეგრამებიდან:

ქართველები ზარმაცი, ჭუჭყიანი, გაქნილი, ძალიან ამაყი და თავზეხელაღებული ხალხია

„საბჭოთა კავშირი „ბანქოს სახლივით დაიშალა... ვინაიდან ის ყოველთვის ბანქოს სახლი იყო“, — წერდა ისტორიკოსი მარტინ მალია. შვიდი ათწლეულის მანძილზე არსებული წყობა რამდენიმე წელში ჩამოინგრა და ცოტა თუ ვარაუდობდა მის აღსასრულს. თხუთმეტმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სახელმწიფო ინტიტუტების მშენებლობა დაიწყო. საბჭოთა ძალადობრივი სისტემის დასასრულს დასავლეთში ცოტა რამ თუ იყო ცნობილი მის შემადგენლობაში არსებულ ერებზე.

საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე, მისი პოლიტიკა კავშირში შემავალი ხალხებისადმი ერთგვაროვანი არ ყოფილა და გარკვეულ ეტაპებს მოიცავდა — ნატივიზაციიდან რუსიფიკაციამდე. ამ მხრივ, სამხრეთ კავკასია კომუნისტი ლიდერებისთვის იყო ლაბორატორია, სადაც პირველად მოხდა მათი იდეების გამოცდა.

საბჭოთა იმპერიის აღზევებასა და დაცემაში სხვადასხვა ქვეყნებმა განსხვავებული როლი ითამაშეს. ქენანის ინსტიტუტში პროფესორმა ერიკ სკოტმა საქართველოს მაგალითი მიმოიხილა. მისი თქმით, საქართველოს მოსახლეობა საბჭოთა კავშირს, 1921 წლის ოკუპაციის შემდგომ, ისე აღიქვამდა, როგორც უცხო სხეულს და „სხვას“. წიგნში „ახლობელი უცნობები“, რომლის პრეზენტაციაც ვაშინგტონის ქენანის ინსტიტუტში გაიმართა, ავტორი საქართველოს საბჭოთა წარსულს მიმოიხილავს.

„ქართველები ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეები იყვნენ ბოლშევიკური რევოლუციის წამოწყებაში, თუმცა იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ ედუარდ შევარდნაძის საგარეო მინისტრად დანიშვნამდე, მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე მათ ცენტრში აღარ წყალობდნენ“, — ამბობს ერიკ სკოტი.

დასავლეთში, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის განხილვა ხშირად მხოლოდ ცენტრთან მიმართებით, „ორიენტალურ“ ჩარჩოში ხდება, სადაც ეს ქვეყნები რუსეთის გავლენის სფეროდ აღიქმება და მათთან დაკავშირებული მოვლენები მხოლოდ ამ პრიზმაში განიხილება. საქართველოს „ორიენტალური“ ხედვა მოსკოვის მიერ მისი ეთნო-კულტურული მახასიათებლების რომანტიზაციისა და ეგზოტიკურად წარმოდგენისგან შედგება.

„ამის ფესვები, პირველ რიგში, რუსულ ლიტერატურაში უნდა ვეძიოთ, ალექსანდრ პუშკინთან და მიხეილ ლერმონტოვთან“, — ფიქრობს ერიკ სკოტი. მისი თქმით, „ქართველები საბჭოთა კავშირში მოგვაგონებენ იტალიელებს ამერიკაში“.

„ქართველები იოსებ სტალინს ხელისუფლებაში მოსვლაში და სოციალისტური ქვეყნის მშენებლობაში დაეხმარნენ. ისინი კულინარიის სპეციალისტები იყვნენ, შექმნეს რეპერტუარი, რომელიც მულტიეთნიკურ საზოგადოებას სცენიდან და ეკრანებიდან ართობდა, საქართველოში ჰყვაოდა არაფორმალური ეკონომიკა, საქართველოს ჰყავდა ინტელექტუალები, რომლებმაც 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ხელისუფლების ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს“, — ამბობს ერიკ სკოტი. იგი საბჭოთა კავშირს ქართული პერსპექტივიდან უყურებს და მულტიეთნიკურ იმპერიაში უმცირესობის გამოცდილებაზე საუბრობს.

ამერიკისთვის საბჭოთა ცხოვრების და იმპერიის შესწავლის ერთ-ერთი წყარო, ამერიკელი დიპლომატის ჯორჯ ქენანის „გრძელი ტელეგრამა“ გახდა. ჯორჯ ქენანი საკუთარ დიპლომატიურ ტელეგრამებში ქართველებზე საუბრობდა როგორც **„ზარმაც, ჭუჭყიან, გაქნილ, ძალიან ამაყ და თავზეხელაღებულ“** ადამიანებზე. მისი თქმით, **„ქართველები თითქოს არასოდეს მუშაობდნენ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მათგან ამას მოითხოვდნენ“.**

ერიკ სკოტი, საარქივო მასალაზე დაყრდნობით, წიგნში საქართველოს უახლეს ისტორიას მიმოიხილავს. მისი თქმით, ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, საქართველოც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ევროპისკენ მიისწრაფის, საბჭოთა წარსულისგან გათავისუფლებას ცდილობს და ეს ქართველებისთვის საკუთარი თავის განსაზღვრისთვის ამოსავალი წერტილია.

მოამზადა
ნუკრი სიხარულიძემ.

მდინარე დიღმულაც გაიწმინდება

შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ მდინარე დიღმულას გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო. ადგილზე იმყოფებოდნენ თბილისის მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი, დიდუბის რაიონის გამგებელი ირმა ზავრადაშვილი და „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის პირველი მოადგილე დავით დოლიძე.

მდინარე და მისი მიმდებარე ტერიტორია სპეციალური ტექნიკის საშუალებით, წლების განმავლობაში დაგროვილი სხვადასხვა სახის ნარჩენისგან იწმინდება. გარდა ამისა, ხორციელდება გამხმარი ხეების სხვლა-ფორმირება. მდინარე დიღმულას გაწმენდითი სამუშაოები რამდენიმე დღე გაგრძელდება.

◎ რაგბი

ზემდგომნიც ცდებიან

როგორც ყოველი ზღაპარი, „ბორჯღალოსანთა“ რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ხუთწლიანი წაუგებელი სერიაც შეწყდა. კიდევ უფრო დიდხანს – 2010 წლის შემდეგ ვერ გვამარცხებდნენ რუმინელები. ბოლოსდაბოლოს, კარპატელებმა ნავსი გასულ შაბათს გატეხეს და ანთიმოზ ივერიელის თასიც დაიბრუნეს. სხვათა შორის, უელსელი მსაჯის იან დეევისის საფინალო სასტვენის შემდეგ ორგანიზატორებს დებულების ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი დაავიწყდათ და შეცდომით ტურნირის გამარჯვებულად საქართველოს ნაკრები გამოაცხადეს, თუმცა, მატჩის შემდგომ ბანკეტზე კურიოზული იაღლიში გამოასწორეს და შესაბამისი ფარი „სტეჟარის“ გადასცეს – მათ ხომ პირადი შეხვედრა მოგვიგეს.

რუმინეთი – საქართველო 8:7
(პირველი ტაიმი 5:7)

მილტონ ჰეიგის გუნდი დებიუტიდანვე დაითარსა, როცა საკვანძო მეორეხაზელ გიორგი ნემსაძეს სრულიად უწყინარ ვითარებაში მიღებული ტრავმის გამო ბრძოლის მიტოვება მოუხდა. სიმბოლურია, რომ უიღბლობა თამაშის ბოლომდე გაგვყვა – ჯერ სტუმართა ლიდერი მამუკა გორგოძე დაშავდა და კრიტიკულ ვითარებაში პარტნიორებს ველარ დაეხმარა, ხოლო მალევე იშვიათი ფაქტი მოხდა – გადამწყვეტი საჯარიმო დარტყმის შემდეგ მერაბ კვირიკაშვილმა ბურთი „მუხების“ კარის ძელს დაუმიზნა.

რასაკვირველია, გაწბილებას მხოლოდ უყისმათობას ვერ დავაბრალებთ. უპირველესად, უნდა ვაღიაროთ, რომ მასპინძლებმა შერკინებაშიც დაგვჩაგრეს და ჩვენი პირველხაზელები მეტოქეს ვერც დინამიკურ ოპერაციებში სჯობდნენ. აღსანიშნავია რუმინელთა მიერ სელექციურ ფრონტზე მიღწეული უპირატესობაც – მათ ღირსებას ნატურალიზებულ ლეგიონერთა სტატუსით ახალზელანდიელი, სამოელი, სამხრეთაფრიკელი, ინგლისელი და ქართველი (ტურაშვილი) პროფესიონალები იცავდნენ. ბუნებრივია, ამის გამო გამარჯვებულებს ვერავინ დაძრახავს – მათ გადაწყვეტილებას ზურგს ხომ რაგბი ევროპის ჩემპიონატის დებულების სათანადო მუხლი უმაგრებს.

ასეა თუ ისე, ბუქარესტში მიღებული ცივი შხაპიდან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ – მსოფლიო თასის საგზური ხომ ისედაც განაღდებული გვაქვს – თუმცა, სირაქლემას პოზაში დგომაც არ გვეგების: სათანადო დასკვნების გამოტანა ყოველი წაფორხილების შემდეგ გვმართებს:

V ტურის დანარჩენი შედეგები: რუსეთი – გერმანია 52:25, ესპანეთი – ბელგია 30:0.

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: რუმინეთი, საქართველო – 19-19, ესპანეთი – 13, რუსეთი – 9, გერმანია – 8, ბელგია – 2 ქულა.

* * *

ექვსი ერის თასი. V ტური. *ირლანდია – ინგლისი 13:9, საფრანგეთი – უელსი 20:18, შოტლანდია – იტალია 29:0.*

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: *ინგლისი – 19, ირლანდია, საფრანგეთი, შოტლანდია – 14-14, უელსი – 10, იტალია – 0 ქულა.*

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ბიჭები ბდღვნიან ყველაფერს!

ევროლიგის მთავარი ფავორიტის ცსკა-ს დამარცხება ბევრისთვის აუხდენელი ოცნებაა. საამაყოა, როცა არმიელთა დაჩოქებაში სოლიდური წვლილი ჩვენს თანამემამულეს შეაქვს.

ამჯერად ტრავმამოშუშებულ თორნიკე შენგელიაზე მოგახსენებთ, რომელიც იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად გამოჩნდა „ბასკონიას“ სასტარტო ხუთეულში და 79:78 მოგებული მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახადა – მისმა სარგებლიანობის კოეფიციენტმა 24 შეადგინა.

23 წუთში მოგროვებული 9 ქულა, 6 მოხსნა (2 შეტევაში), 5 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება – ასეთია ქართველი ფორვარდის შეტანილი სოლიდური პირადი წვლილი პარტნიორთა წარმატებაში.

ბასკური კლუბი 15 გამარჯვებითა და 11 მარცხით ჯგუფური რაუნდის სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა და დღეს გერმანიაში „ბამბერგს“ ეთამაშება.

* * *

კიდევ ერთი შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა ესპანურ ჩემპიონატში ქართულმა დუეტმა.

გიორგი შერმადინმა პარკეტზე გატარებულ 31 წუთში 27 ქულას 9 მოხსნა წააშველა და მატჩის MVP გახდა მარგი ქმედების კოეფიციენტით +41.

მშვენივრად ითამაშა ბექა ბურჯანაძემაც – 26 წამში მან 16 ქულა, 6 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა (+22).

რაღა გასაკვირია, რომ „ანდორამ“ „სარაგოსა“ სწორედ ჩვენებურთა ძალისხმევით დაჯაბნა – 100:92.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

საქართველოს XXIX ჩემპიონატი. ეროვნული ლიგა. „ჩიხურა“ – „შუქურა“ 3:1 (გაბედავა – 2, კაკუბავა; ჭეჟია – საკუთარ კარში), „საბურთალო“ – „ლოკომოტივი“ 2:1 (ხარაიშვილი, კოხრეიძე; გავაშელიშვილი), „ტორპედო“ – „კოლხეთი“ 2:1 (გურული, მახარობლიძე; ჯანელიძე), „ბათუმი“ – „სამტრედია“ 0:1 (სამუშია), „დინამო“ – „დილა“ 1:2 (არაბული; წიქარიძე, კირკიტაძე). ამ შეხვედრას გორელთა ებრაელი მეწილეების მეგობარი, ლონდონის „ჩელსის“ ყოფილი თავკაცი ავრაამ გრანტი დაესწრო. სტუმარი გორშიც იმყოფებოდა და „დილას“ ვარჯიშზეც ნახეს, ხოლო შემდეგ სტალინის სახლ-მუზეუმი დაათვალიერა. „მე მხოლოდ ჩემი მეგობრების მოსანახულებლად ჩამოვედი. ამ კლუბის მფლობელებს გამარჯვებებს ვუსურვებ. იმედია, ეს წარმატებული პროექტი იქნება“ – განაცხადა ავტორიტეტიანმა სპეციალისტმა.

სატურნირო მდგომარეობა: „ჩიხურა“ – 7, „საბურთალო“, „ლოკომოტივი“ – 6-6, „ტორპედო“, „სამტრედია“, „დილა“ – 4-4, „კოლხეთი“, „დინამო“, „ბათუმი“ – 3-3, „შუქურა“ – 2 ქულა.

ამ მატჩების შემდეგ ეროვნულ ლიგაში ხანმოკლე შესვენება გამოცხადდა – მოგეხსენებათ, 24 მარტს „დინამო არენაზე“ 21 საათზე „მუნდიალ – 2018“-ის შესარჩევ შეხვედრაში სერბებს ვუმასპინძლებთ, ხოლო 28 მარტს ამხანაგურ თამაშს გავმართავთ ლატვიელებთან.

IV ტური: „შუქურა“ – „კოლხეთი“, „ლოკომოტივი“ – „ტორპედო“, „დილა“ – „საბურთალო“ (1 აპრილი), „სამტრედია“ – „დინამო“, „ჩიხურა“ – „ბათუმი“(2 აპრილი).

* * *

იტალია. „სამპდორია“ – „იუვენტუსი“ 0:1, „რომა“ – „სასუოლო“ 3:1, „ემპოლი“ – „ნაპოლი“ 2:3.

ლიდერთა ჯგუფი: „იუვენტუსი“ – 70 „რომა“ – 65, „ნაპოლი“ – 63 ქულა.

ესპანეთი. „ბილბაო“ – „რეალი“ 1:2, „ბარსელონა“ – „ვალენსია“ 4:2, „ატლეტიკო“ – „სევილია“ 3:1.

ლიდერთა ჯგუფი: „რეალი“ – 65, „ბარსელონა“ – 63, „სევილია“ – 57, „ატლეტიკო“ – 55 ქულა.

ინგლისი. „სტოკი“ – „ჩელსი“ 1:2, „ტოტენჰემი“ – „საუთჰემპტონი“ 2:1, „სიტი“ – „ლივერპული“ 1:1.

ლიდერთა ჯგუფი: „ჩელსი“ – 69, „ტოტენჰემი“

– 59, „სიტი“ – 57, „ლივერპული“ – 56 ქულა.

გერმანია. „გლადბახი“ – „ბაიერნი“ 0:1, „ვერდერი“ – „ლაიფციგი“ 3:0, „ბორუსია“ – „ინგოლშტადტი“ 1:0.

ლიდერთა ჯგუფი. „ბაიერნი“ – 62, „ლაიფციგი“ – 49, „ბორუსია“ – 46 ქულა.

საფრანგეთი. „კაენი“ – „მონაკო“ 0:3, „პსჟ“ – „ლიონი“ 2:1, „ნანტი“ – „ნიცა“ 1:1.

ლიდერთა ჯგუფი: „მონაკო“ – 71, „პსჟ“ – 68, „ნიცა“ – 64 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ხუთგზის!

ჩოგბურთის პელე როჯერ ფედერერი მეხუთედ გახდა ინდიან უელსის უაღრესად პრესტიჟული მასტერზის გამარჯვებული. ფინალში ლეგენდარულმა შვეიცარიელმა თანამემამულე სტენ ვავრინკა 6:4, 7:5 დაამარცხა და ტურნირი სეტის წაუგებლად დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ 35 წლის ფედერერმა სეზონი ავსტრალიის ღია პირველობის მოგებით დაიწყო. დარწმუნებულნი იყავით – გაგრძელება იქნება.

ბადრი იაშვილი.

◎ ინტერნეტიდან

ლარისა რიკელმე საქართველოს უახლოვდება

ჩვენს მიერ მრავალგზის ნაფერები მკერდდალოცვილი და ვნებისაღმძვრელი პარაგვაელი მოდელი ლარისა რიკელმე ამ ჩვენს მრავლისმნახველ ქვეყანას ისე არასოდეს მოახლოებია, როგორც მომავალ თვეში – აპრილის დასაწყისში მოუახლოვდება და ალბათ დროა, აქედანვე შევემზადოთ ამ დიადი ამბისთვის.

ლარისა რიკელმე სტამბოლში ფილმის გადაღებებზეა მიწვეული და ოსმალთა მთავარ ქალაქში ამ ფაქტის გამო უკვე დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი. ცხადია, ისინი ღელავენ, ვინც იციან ლარისას არსებობა და ერთხელ მაინც თუნდაც ირიბად შეუვლიათ თვალი ამ ქალის თამამი ფოტოებისათვის.

პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების თილისმად სახელდებულ ლარისას უკვე დაუდია კონტრაქტი ერთ-ერთ ამერიკულ კინოსტუდიასთან, რომელიც ბოევიკის ჟანრის ფილმის დიდ ნაწილს თურქეთში იღებს. ასე რომ, ვინც ამ დროს სტამბოლში იქნება და არ დაიზარებს, ნამდვილად არ ინანებს მხარზე ავტომატგადაკიდებულ და საფუძვლიანად დეკოლტირებულ ლარისას თუ იხილავს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დედაქალაქი

სურსათის ღამის საწყობი... საზოგადოებრივ საპირფარეშოში

„სითი პარკის“ ყოვლად უმსგავსო მოქცევისა არ იყოს, რომლის თბილისიდან მოცილება მერიამ აგერ უკვე მეხუთე წელია ვერა და ვერ მოახერხა და, რამდენადაც ვიცით, კიდევ დიდი ხნის მანძილზე ვერ შეძლებს, გარე მოვაჭრეებთან დაკავშირებით, რომლებსაც დედაქალაქის ტროტუარები, ვაჭრობის თვალსაზრისით ყველაზე „სარფიანი“ ადგილები, მკვიდრად ჰქონდათ ათვისებულ-დაკავებული, იგივე ამბავი ხდებოდა.

ასე იყო 19 მარტამდე და ამ დღემდე ბევრგან (ამ მხრივ კი განსაკუთრებით მარჯანიშვილის მოედანი და ქუჩის ზედა წელი გამოირჩეოდა) კაცი ვერც დღისით, ვერც საღამოთი თავისუფლად ვერ გაივლიდა, რადგან ტროტუარის ორივე მხარე — კედლისაც და სავალი ნაწილისაც — ათასნაირი სურსათით თუ საყოფაცხოვრებო საქონლით გარე მოვაჭრეებს ჰქონდათ დაკავებული. ბოლო აკორდი ნამდვილი „ბოშათა ბანაკი“ გახდა, რომელიც აღმაშენებლის პროსპექტის გადასასვლელის მიმდებარედ გაიმართა — თავისი ტანსაცმლის მანეკენებით, ფეხსაცმლის ჩასაზომი სკამებით და ა. შ.

19 მარტს კი მთელი ეს „დომხალი“ მობილიზებულმა პოლიციამ ერთიანად „მოასუფთავა“, შედეგად კი თბილისელებმა და დედაქალაქის სტუმრებმაც როგორც იქნა დავინახეთ, რომ, თურმე, მარჯანიშვილის სახელობის მოედანიც და ქუჩაც ჩვენი ქალაქის მშვენიერი კოხტა ადგილები ყოფილა.

ზუსტად ეს სიტყვები არ გამოუყენებიათ, მაგრამ აზრი ნამდვილად იგივე იყო, რომელიც იმ დილით ახალგაზრდების ჯგუფმა ერთმანეთში საუბრისას ერთხმად გამოთქვა: „რა ლამაზი ყოფილა აქაურობა“. იქვე მდგომმა დაღვრემილმა ქალბატონმა კი სიმწრით უთხრა: „ეჰ, შვილებო, ლამაზი კია აქაურობა, მაგრამ ჩვენ დღეს შვილებს რა ვაჭამოთ?“ მართალი იყო ეს ქალბატონი, ბევრი გარე მოვაჭრეს, ალბათ, ხელი მოეცარა შეჩვეული ადგილისა და მიჩვეული მუშტრის დაკარგვით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ოდესღაც ხომ უნდა ჩაჯდეს ჩვენი ყოფა ცივილიზებულ ჩარჩოებში? რას ვიზამთ, საყოფაცხოვრებო საქონლით და, მით უმეტეს, კვების პროდუქტებით სავაჭროდ დადგენილი ადგილები დედაქალაქში მრავლადაა, ამიტომაც მყიდველმაც და გამყიდველმაც კეთილი უნდა ინებონ და იქ მონახონ ერთმანეთი. მით უმეტეს, რომ 19 მარტს ცნობილი გახდა აშკარად გულისამრევი ამბავი: თურმე დღის მანძილზე გაუყიდავ სურსათს, მავანნი... იქვე სარდაფში განთავსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოს დამხმარე სათავსოში ასაწყობებდნენ...

ახლა თქვენ განსაჯეთ, პატივცემულო მკითხველო, რა კომენტარის გაკეთება შეიძლება ასეთ უმსგავსობაზე? და რამდენად სამართლიანად გაყარეს ვაჭრები „დედაქალაქის საყდრიდან“?

ოთარ ტურაბელიძე,

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

გამოსათხოვარი

ბაბუხადიებისა და გელოვანთა საგვარეულოები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით სახელოვანი ქართველი ხელოვანის, საქართველოს სახალხო არტისტის, ჩვენი საამაყო სიძის

გია ჭირაქაძის

გარდაცვალებას და გულითად სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს, ყველა ახლობელსა და უდიდეს სამეგობროს.

გარდაიცვალა ანსამბლ „ქართული ხმების“ პირველი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი, ბატონი

გია ჭირაქაძე

გია ჭირაქაძე იყო საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის საპატიო მოქალაქე.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი გიას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებს, სამეგობროსა და მთლიანად საქართველოს.

ელისო კილაძე ქმრის ჯილდოთი პროვოკატორობს!

ელისო კილაძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა და ე. წ. მოდულთან მისი მეუღლის საგანგებო განცხადება წაიკითხა, სადაც ნათქვამია, რომ პროტესტის ნიშნად მისმა მეუღლემ სახელმწიფო ჯილდოზე უარი თქვა. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს ჯილდო განსაკუთრებით საშიში კრიმინალური დაჯგუფების დაკავებისთვის გადაეცა.

„ეს ჯილდო ჩვენზე უფრო მეტად თქვენ გჭირდებათ, რადგან დააჯილდოოთ ის პოლიციელები, რომლებმაც დიდი ოდენობით ნარკოტიკი ჩაუდეს ჩემს შვილს დავით ხარშილაძეს, ეს მათ წაახალისებს და გულმოდგინეობას შესძენს, შეასრულონ ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ დაკვეთები“, — ნათქვამია შს მინისტრისადმი მიმართვაში.

მეუფე დიმიტრისა და სოსო ოხანაშვილის წინააღმდეგ გამოძიებას მტკიცებულებები არ გააჩნია

მთავარი პროკურორის განცხადებით, ე.წ. ციანიდის საქმეში მეუფე დიმიტრისა და პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ არსებობს.

„გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება ერთი პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ეს არის ბრალდებული გიორგი მამალაძე. მას შესაბამისი მუხლით წაყენებული აქვს ბრალი. ამდენად, მე სხვა პიროვნებებზე რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით ვერ ვისაუბრებ, ვინაიდან საქმეში სხვა მტკიცებულებები არ მოიპოვება“, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

თბილისის ბაზრობების ასოციაციის საგანგებო განცხადება

მოგახსენებთ, რომ თბლისის ბაზრობების გაერთიანებაში ჩვიდმეტი სრულუფლებიანი წევრია. ასოციაცია დედაქალაქის მასშტაბით არსებულ ყველა მსხვილ ბაზრობას მოიცავს.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად ბაზრობების ასოციაცია მზადყოფნას გამოთქვამს დაუყონებლივ შეღავათიანი პირობებით ექვსი თვის ვადით სავაჭრო ადგილი დაუთმოს ყველა იმ გარემოვაჭრეს, რომელიც რეალიზაციის ობიექტზე მუდმივად იქნება დასაქმებული, გარდა ამისა, ბაზრობების დირექცია დატვირთულ ობიექტზე ე.წ. ყოფილ გარემოვაჭრეებს ყველა პირობას შეუქმნის საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიან პირობებში რეალიზაციისთვის.

რეალიზაციის ობიექტები მოიცავს შემდეგ ტერიტორიას: რკინიგზის სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია, „დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორია, მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორია, ძველი დეზერტირების ბაზრის ადგილას აშენებული ახალი ბაზრის ტერიტორია, ისნის ბაზრობის ტერიტორია, სამგორის ბაზრობის ტერიტორია და სხვა.

თბილისის ბაზრობების ასოციაციას დაუყონებლივ შეუძლია სარეალიზაციოდ ფართობი სამიათასამდე გარემოვაჭრეს დაუთმოს.

ყველა დაინტერესებულ პირს უმორჩილესად ვთხოვთ რეგისტრაციისთვის მიმართოს ბაზრობის დირექციას.

ტუალეტის მიტოვებული ფუნდამენტები ბათუმის მერიისგან

ვინ ააშენებს საზოგადოებრივ ტუალეტებს ბათუმში და საერთოდ აშენდება თუ არა, ამ დრომდე გაურკვეველია. ბათუმის მერიამ, 2016 წელს, ქალაქის სხვადასხვა სკვერში 6 საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობაზე აუქციონი გამოაცხადა, თუმცა საქმე არ გაკეთდა.

თამილა თოფურიძე მერიის მიერ გამოცხადებული აუქციონის ერთადერთი მონაწილე იყო. წლის განმავლობაში 6 საზოგადოებრივ ტუალეტში მიღებული შემოსავლიდან მას ბათუმის ბიუჯეტში მხოლოდ 3200 ლარი უნდა გადაეხადა. ხელშეკრულების თანახმად, საზოგადოებრივი საპირფარეშოს ერთი კაბინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის უნდა მოწყობილიყო. მიწის ნაკვეთები 6 სხვადასხვა სკვერში მერიამ იჯარით, 15 წლის ვადით გაასხვისა.

ტუალეტების მშენებლობაც დაიწყო, თუმცა მშენებლობას, მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის თუ ზოგიერთი ორგანიზაციის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. პროტესტის მიზეზად მერიის მიერ შერჩეულ ადგილებს ასახელებდნენ.

ბათუმის მერიამ უკან დაიხია, აუქციონში გამარჯვებულმა მერიასთან ხელშეკრულება მოშალა, ხოლო შედეგად, გამარჯვებულს ზარალი, ქალაქს კი ზოგიერთ სკვერში ტუალეტებისთვის განკუთვნილი მიტოვებული ფუნდამენტები დარჩა.

შსს-მ 43 შეკვრა მეტადონი ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული გ.რ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 43 შეკვრად დაფასოებული, 70,4448 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება მეტადონი ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

დიდ დიღომში „GPC“-ის აფთიაქი გაძარცვეს

„GPC“-ის ერთ-ერთ აფთიაქში გვიან ღამით რამდენიმე პირი შეიჭრა. გავრცელებული ინფორმაციით, წაღებულია მცირე რაოდენობის თანხა. თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა. მომხდარის დეტალები არ კონკრეტდება.

ეროვნული არქივი ზღაპრების ახალ აუდიოჩანაწერებს ქმნის

იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის პროექტი „ქართული ზღაპრები – აუდიობიბლიოთეკა“ ახალი მიმართულებით გაგრძელდა. ათწლეულების წინათ ჩაწერილ ზღაპრების თანამედროვე მსახიობების წაკითხული 30-ზე მეტი ჩანაწერი დაემატება.

ეროვნულმა არქივმა საკუთარ ფონდებში დაცული, სტუდია „მელოდიას“ მიერ 1960-80-იან წლებში ჩაწერილი 100-მდე ზღაპრის აუდიოჩანაწერი ინტერნეტში თავისუფალი წვდომით 2014 წელს გამოაქვეყნა. პროექტს დიდი დაინტერესება მოჰყვა, ამიტომ მისი გაგრძელება და ახალი ჩანაწერების შექმნა გადაწყდა.

არქივის მოწვევით ბავშვებისათვის ზღაპრებს კითხულობენ ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობები – რუსუდან ბოლქვაძე, გია აბესალაშვილი, ქეთევან ჩხეიძე და რამაზ იოსელიანი. მათი ჩაწერა ეროვნული არქივის აუდიოსტუდიაში მიმდინარეობს.

ახალჩაწერილი ზღაპრები ეროვნული არქივის საიტზე – www.archives.gov.ge და სოციალურ ქსელებში, ეროვნული არქივის ოფიციალურ არხებზე განთავსდება. ზღაპრები CD ფორმატშიც გამოიცემა და ხელმისაწვდომი გახდება ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონის მაღაზიაში.

ზღაპრებთან ერთად იგეგმება ქართული დიაფილმის ტექსტის ჩაწერაც. არქივში 150-ზე მეტი დიაფილმი ინახება და ამჟამად მათი ციფრული ვერსიები მზადდება. ტექსტების აუდიოვერსია ნახატებს შეერწყმება, რაც ახალ სიცოცხლეს შესძენს 1970-80-იან წლებში პოპულარულ მულტიპლიკაციური ფილმების ერთგვარ ნაირსახეობას.

„სხვა საქართველო...“

„სხვა საქართველო“ – ასე ჰქვია ფოტოგამოფენას, რომელიც მთამსვლელთა და მოგზაურთა კლუბ „თეთნულდის“ ორგანიზებით ქუთაისში გაიხსნა. ექსპოზიციას „თიბისი ბანკის“ საგამოფენო სივრცე მასპინძლობს და ის მთამსვლელთა და მოგზაურთა კლუბის წევრების ირანში მოგზაურობას ასახავს.

გამოფენაზე 25 ფოტონამუშვარია წარმოდგენილი, რომელთა ნაწილი ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებას ასახავს. კლუბის წევრების თქმით, ექსპედიციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ფერეიდნელი ქართველების გაცნობა და მათთან დამეგობრება იყო.

ირანში მოგზაურობის იდეა „თეთნულდს“ ორი წლის წინათ გაუჩნდა, 2017 წლის იანვარში კი ირანს 12 დღით ესტუმრა კლუბის 5 წევრი. მათ ფერეიდნელ ქართველებთან ერთად დალაშქრეს მწვერვალი მთაციხე და მარანჯაბის უდაბნოში იმოგზაურეს. ექსპედიციის წევრებმა ასევე დალაშქრეს მწვერვალი შაჰანყუფი, რომელიც ზღვის დონიდან 4040 მეტრის სიმაღლზე მდებარეობს. ექსპედიციის წევრები ამბობენ, რომ მოგზაურობაც და გამოფენაც სპარსეთში ქართველების გადასახლების 400 წლისთავს ეძღვნება.

სასარგებლო... „მავნე“ ჩვევა

ფრჩხილების კვნეტისა და თითის წოვის ჩვევა ჯანმრთელი ბავშვებისთვის... სასარგებლოა, მიაჩნიათ ახალზელანდიელ მეცნიერებს.

ეს ჩვევა ბავშვებს მომავალში ალერგიის განვითარებისგან იცავს. თითის მწოველი ბავშვები სულ პატარა ასაკიდანვე მიკრობებთან შეხებაში არიან, რაც იმუნური სისტემისთვის ერთგვარ წვრთნას წარმოადგენს.

კვლევის ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ მიღებული შედეგები ამაგრებენ ეგრეთ წოდებულ „ჰიგიენის თეორიას“, რომლის თანახმად სხვადასხვა მიკრობის ურთიერთობა ალერგიის განვითარების რისკს ამცირებს.

სწორედ ამის გამოა, რომ მეცნიერები არ ურჩევენ მშობლებს ბავშვის ოთახის სრულ სტერილიზებას.

„მკერდოსანთა“ ქვეყანა

სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრი თეთრკანიანი ქალბატონები მკერდის სიდიდით მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან.

მეცნიერები აცხადებენ, რომ, მართალია, ქალის მკერდის სიდიდე გენეტიკურადაა განპირობებული, მაგრამ საქმე მარტო ეს არ გახლავთ. ქალის მკერდი ჯირკვლური ნაწილისა და ცხიმოვანი ქსოვილისგან შედგება. რაც უფრო მეტადაა განვითარებული ცხიმოვანი უჯროვანა, მით უფრო დიდია ქალის მკერდი.

იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო მეტია ჭარბწონიანი ქალბატონები, „მკერდის რეიტინგში“ მათ პირველობაც, როგორ ჩანს, სწორედ ამით აიხსნება.

„ცხარე“ საკვების ტრფიალი

ბევრ ადამიანს სხვებისთვის სრულად გაუგებარი გატაცება აქვს, მაგრამ ინდოეთის პენჯაბის შტატის ქალაქ ამრიტსარის 42 წლის პოლიციელის სურჯიტ სინგჰის „ჰობი“, რომ იტყვიან, არანაირ ჩარჩოში არ ეტევა.

ბოლო ორ თვეში ამ ყოჩაღმა სამართალდამცველმა... 28 დანა გადაყლაპა, რის შემდეგ საავადმყოფოში მივიდა... მუცელში ტკივილსა და უმადობის გამო წონაში დაკლების ჩივილით!

ხუთი ქირურგი მთელი ხუთი საათის განმავლობაში საოპერაციო მაგიდას არ მოსცილებია, რის შედეგად სურჯიტ სინგჰის კუჭიდან... 40 დანა ამოიღეს, რომელთაგან ზოგი ძალიან ბასრი იყო, ზოგი კი უკვე ჩაჟანგებული და გადამტყდარი...

როდის დადგება ქვეყნიერების აღსასრული?

ბარსელონის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა მკვლევარმა ანტონიო სალესმა 21-ე საუკუნეში ქვეყნიერების აღსასრულის ალბათობა დაახლოებით 0,2 პროცენტით შეაფასა.

ამ ტიპის დასკვნები „აპოკალიფსის თეორემას“ ეფუძნება, რომლის თანახმად, დიდია იმის ალბათობა, რომ კაცობრიობამ მისი არსებობისთვის განკუთვნილი დროის ნახევარი უკვე განვლო. აქედან გამომდინარე კი ზოგიერთნი აცხადებენ, რომ ქვეყნიერების დასასრული არცთუ შორსაა.

თუმცა კი სხვები იმ აზრზე არიან, რომ კაცობრიობის აღსასრული არაერთგზის იყო ნაწინასწარმეტყველები, მაგრამ რეალური აპოკალიფსი – ეს არა რაღაც ბიბლიური გლობალური მოვლენაა, რომელიც ცივილიზაციას ერთბაშად დაღუპავს. აპოკალიფსური მოვლენები ამჟამად, არსებითად, გამუდმებით ხდება. მაგრამ მათგან ყველაზე დიდებიც კი, შეიძლება მხოლოდ ლოკალური იყოს, ვთქვათ, ისეთები, რგორებიც იყო ხიროსიმა, ნაგასაკი, ჩერნობილი...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით **1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ქუსლის ტკივილს.**

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4817; ევრო - 2.6720;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0731;
100 რუბლი - 4.2974; თურქული ლირა - 0.6871;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4598;
1000 სომხური დრამი - 5.1338.

ამინდი 21 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge